პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი

№ 245 (13937) | ოთხშაბათი, 18 ოქტომბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

## ქალიშვილებო და ჭაბუკებო!

**იყავით დიდი ოქტომბრის რევოლუციური ტრადიციების ერთგული გამგრძელებლები! იბრძოლეთ კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის!**

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი)

# ვაღიდოთ სამშობლო!

მდინარეები კვებავენ ზღვას. მოძმე ხალხთა შემოქმედებითი ძალების ნაკადული უწყვეტ მდინარედ ერთვის ადამიანთა ფიქრების, გრძნობების, განცდების, ესთეტიკური სამყაროს იმ ზღვას, რაც შეიძლება ეწოდოს ჩვენი დიადი სოციალისტურ სამშობლოს ლიტერატურასა და ხელოვნებას, სამშობლოსი, რომელიც სულ მალე თავის ნახევარსუკუნოვან იუბილეს იზეიმებს. მაგრამ თვით მდინარეებიც ვერ იარსებებდნენ უშენაკადებოდ. ერთ წერტილზე გაიყინებოდა ქართული ლიტერატურა და ხელოვნება, რომ მათ უშრეტ ნაკადად არ ერთვოდეთ შემოქმედთა ახალი ძალების, ახალი ტალანტების ნაფიქრ-ნააზრევი თუ ნახელავი.

საბჭოთა ახალგაზრდობა ყველა საქმეში — შრომასა თუ ბრძოლაში ხალხის იმედი და მომავალი — შემოქმედებითს სფეროშიც ამომავალმზეობს, გვახარებს და სიმხნევეს გვმატებს, როცა მას ჩვენი ხალხის კულტურის საუნჯეში შეაქვს ეპოქის ღირსეული ნაწარმოები ლიტერატურისა და ხელოვნებისა.

თუ ვიგულისხმებთ, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების უპირველეს მასაზრდოებელს წყაროს ცხოვრება შეადგენს, მაშინ კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერის შემქმნელ ჩვენს ნახევარსუკუნოვან ცხოვრებას ვერც ერთი ეპოქის შესაბამის მონაკვეთში ბადალს ვერ მოვუძებნით. უბადლო, დაუშრეტელი წყაროა შემოქმედებისათვის ჩვენი ქარტეხილებიანი, დაუდეგარი, წინმსწრაფი ნახევარსუკუნე.

თუ ვიგულისხმებთ, რომ შემომქმედი ეპოქის ნერვია, მაშინ ოლი წარმოსადგენია თუ რაოდენ დიდი რხევები და ბობოქარი დღეები აღუქვამს მას. ჰეროიკით აღსავსე, ნახევარი საუკუნე ნათლად აღბეჭდილია საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ქმნილებებში. მათ კიდევ უკეთეს ნაწარმოებებში მოელის ასახვას ჩვენი უფრო დიადი, გრანდიოზული ხვალინდელი დღე.

არიან, საბედნიეროდ ძალიან ცოტანი, ხსეთი შემოქმედნი, რომლებიც, ვთქვათ, სურთ რა დახატონ ხე, — ამწვანებულ, ახოვან, ძალუმად ტოტებგაშლილ და ცადაზიდულ მუხაში ამჩნევენ მხოლოდ ფეს... ტოტიც არ ითქმის, შტრს, რომელიც როგორღაც მოსტტხია და შეხმობია. ჩვენს საზოგადოებას არასოდეს გულდობილად არ მიუღია მხატვრული შემოქმედების ისეთი ნაწარმოები, რომელიც ჩქმალავს მთლიანს, დიადს, მასობრივს, და ყველა საღებავს ალევს შემთხვევითის, არადამახასიათებელის, არატიპიურის დახატვას. თითოეოროლა შემოქმედის პირადი კრიზისი, ისიც ცხოვრებისაგან მოწყვეტით გამოწვეული, არამცდაარამც არ არის ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების რაღაც „კრიზისი და ჩამორჩენილობა“.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის, წინაპრებად დიდი რუსთველი და ოპიზარი, გელათი და ვარძია რომ მყავს, მუდამ მამოძრავებელი იყო, ამოსავალი წერტილი იყო ტრადიცია საუკეთესოსი, იმისა, რაც ხალხმა ირჩია, რომელშიც ხალხმა თავისი ფიქრები, განცდები, მისწრაფებანი დაინახა, თავისი სული იცნო.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას, სოციალისტურ რეალიზმზე დაფუძნებულს, გააჩნია ასეთი ნაწარმოებთა არა ერთი და ორი ათეული, მტკიცედ შესული და ხამუდამოდ დამკვიდრებული ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს კულტურის საუნჯეში. ჩვენი ნიჭიერი, ბეჯითი, პატიოსანი შემოქმედი ახალგაზრდობა მიჰყვება სწორედ ამ საუკეთესოთა ტრადიციებს, ახლით ავსებს, ამდიდრებს და ანვითარებს მას. თუ ავტორის შემოქმედებითი ნიჭიერება ნათელია და მაინც ნაწარმოები ღარიბი გამოდის, ეს, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრების არცოდნის შედეგია, ადამიანის სულის უცოდინარის ნაყოფია. მწერალი, მხატვარი, მუსიკოსი, მსახიობი მხოლოდ მაშინ გაიკვლევენ გზას ადამიანთა გულისაკენ, როდესაც ისინი გვიყვებიან, გვიჩვენებენ ცხოვრებისეულ სიმართლეს, გვეხმარებიან შრომასა და ბრძოლაში, გვმატებენ სიმხნევეს, ხვალინდელი დღის რწმენას, გვაყვარებენ ადამიანს, შეგვმართავენ კომუნიზმისათვის საბრძოლველად.

უნდა იყო ცხოვრების შუაგულში, რომ ისწავლო, განიცადო, ჩასწვდე მოვლენათა არსში, ხოლო როცა ჰქმნი, მოექცე სიმაღლის იმ წერტილზე, საიდანაც მხატვრის თვალსათვის ყველაფერი მისაწვდომი და ხილული იქნება.

შემომქმედი არწიი უნდა იყოს — ღობეზე დაფრენაც შესძლოს და ცისტატნობზე აფრენაც. ვის, თუ არა ახალგაზრდობას, ძალუძს ეს!

სიყვარულის უფლება და სიყვარულის შეძლება ბუნებას ყველასათვის მიუნიჭებია, მხოლოდ ყველასათვის არ გაუმეტებია, ყველასათვის არ მიუთვლია ნიჭი და თვისება იყოს შემოქმედი — მწერალი, მხატვარი, მუსიკოსი, მსახიობი. ბუნებით მომადლებულ ამ ბედნიერებას მოვლა და გამოყენება უნდა. ეს კი ალმასის მოლეკილის შრომას მოითხოვს. ამ შემთხვევაში გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ნიჭთან თამაში ცეცხლთან თამაშზე ნაკლებ სახიფათო არ არის. თქვენი ნიჭისაგან სამშობლო ღირსეულ ნაწარმოებებს მოელის, ახალგაზრდა შემოქმედნო!

შეიძლება გიყვარდეს და არ წერდე, მაგრამ შეუძლებელია წერდე ისე, რომ არ გიყვარდეს!

გიყვარდეთ სამშობლო, ხალხი, ადამიანი, ის, ვისზეც გორკის უთქვამს — ადამიანი ღაიბადა, ქუდი მოიხადეთ!

თუ თქვენს ქმნილებებს ამ სიყვარულით გაათბობთ, მიზანი მიღწეული იქნება.

დღეს, როცა მზიური საქართველოს უმშვენიერეს ქალაქ-ბაღში, ქალაქ-კურორტ ბორჯომში იკრიბებით, რათა თქვენს შემოქმედებაზე ისაუბროთ, დღევანდლამდელი ასწონდასწონოთ და მომავლის, ხვალინდელის ლამაზი გეგმები ერთმანეთს გაუზიაროთ, ერთხელ კიდევ მოგაგონებთ მგზნებარე სიტყვებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან:

**ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენო! მაღლა გეპიროთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობის, ხალხურობის, იდეურობის დროშა, სრულყავით თქვენი მხატვრული ოსტატობა, მთელი ძალღონე და ნიჭი მოახმარეთ კომუნიზმის მშენებელთა პოლიტიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ აღზრდას!**

**მხატვრული სიტყვით, შეუპოვარი შრომით ვადიდოთ სამშობლო, მეგობრებო!**

## ეე ოქტომბერში

რევოლუციის
ულამაზეს ფერთა სიმღერით
დგას ოქტომბერი
დიდებული და მოლხენილი,
ჩვენ ვდგავართ ძეგლთან
დღეთა რწმენით
დღეთა სიმხნევით,
ჩვენ, ვისაც ერთხელ არ
გვინახავს
დიდი ლენინი.

მღერიან მთანი
და ჩვენსავით ილხენენ ხენი,
ბუნება სუნთქავს,
ლამაზი და ყელმოღერილი,
ამ ოქტომბერში
ჩვენ თვალებში ვუყურებთ
ლენინს,
ჩვენ, ვისაც ერთხელ არ
გვინახავს
დიდი ლენინი.

ქვეყანა მიჰყავს ლაჟვარდებში
იმედით, რწმენით
და მხარში გვიდგას
მზესთან ერთად გამოჩენილი...
ჩვენ საოცარი სიყვარულით
ვუყურებთ ლენინს,
ჩვენ, ვისაც ერთხელ არ
გვინახავს
დიდი ლენინი.

ჰქვია ბელადი
კიდევ? — მამა.
და კიდევ? — ბრძენი,
რევოლუციის
გრიგალებში გამოვლენილი...
ჩვენ ტრიბუნაზე კვლავ ყურს
ვუგდებთ
ვლადიმერ ლენინს,
ჩვენ, ვისაც ერთხელ არ
გვინახავს
დიდი ლენინი.

**ჯანსულ ჩარკვიანი.**

# საიუბილეო წლის წინსვლა

## სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სსრ კავშირის მრეწველობის 1967 წლის ცხრა თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

**მრეწველობის** მუშაკები, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი, ასრულებენ რა საფიცესაწყალო სოციალისტურ ვალდებულებებს, დიდი შრომითი წარმატებებით ეგებებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. ნათქვამია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში. გადაჭარბებით შესრულდა როგორც წარმოების საერთო მოცულობის, ისე მეტი წილი უმნიშვნელოვანესი ნაწარმის გამოშვების საიუბილეო წლის ცხრა თვისა და მესამე კვარტალის გეგმა. გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 10,5 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია თითქმის 6 მილიარდი მანეთის პროდუქცია.

მრეწველობის ცალკეულმა დარგებმა გადაფიფეს პროდუქციის გამოშვება: ელექტროენერგიისა და თბოელერგიამ — 10 პროცენტით, სათბობის მრეწველობამ — 7 პროცენტით, შავმა და ფერადმა მეტალურგიამ — 9 პროცენტით, ქიმიურმა მრეწველობამ — 13 პროცენტით, მანქანათმშენებლობამ და ლითონდამუშავებამ — 13 პროცენტით, ხეტყის, ხისლამუშავებელმა და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობამ — 8 პროცენტით, საშენ მასალათა მრეწველობამ — 10 პროცენტით, მსუბუქმა მრეწველობამ — 12 პროცენტით, კვების მრეწველობამ — 8 პროცენტით, სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობიდან კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საგნების წარმოება გადიდდა 15 პროცენტით.

მესამე კვარტალის დამლევისათვის დაგეგმისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილია ხუთ-ნახევარ ათასზე მეტი სამრეწველო საწარმო, რომლებიც მთელი სამრეწველო პროდუქციის მესამედს უშვებენ. ახალი სისტემით მუშაობს ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს ყველა საწარმო, ტურბინების, დიზელების, ტვაბების, კომბაინების საწარმოები, ფერადი მეტალურგიის მთელი რიგი დარგების, სალტის, ბამბეულის, შალეულის, აბრეშუმის, ტრიკოტაჟის, ტყავფეხსაცმლის მრეწველობის საწარმოები.

ახალ პირობებში მომუშავე საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების გადიდებული გეგმები. 1966 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მრეწველობის პროდუქციის რეალიზაცია ამ საწარმოებში 12 პროცენტით გაიზარდა, მოგება — თითქმის 25 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 8 პროცენტით.

ყველა სამრეწველო სამინისტრომ და ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ, ნათქვამია შემდეგ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში, გადაჭარბებით შეასრულეს როგორც წარმოების საერთო მოცულობის, ისე მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების ცხრა თვის გეგმა.

1967 წლის ცხრა თვეში წარმოებულია: ელექტროენერგია (საერთო სარგებლობის ელექტროსადგურები და ბლოკსადგურები) — 404 მილიარდი კილოვატსაათი, ნავთობი — 214 მილიონი ტონა, გაზი — 116 მილიარდი კუბური მეტრი, ქვანახშირი — 446 მილიონი ტონა, თუჯი — 55,6 მილიონი ტონა, ფოლადი — 76,2 მილიონი ტონა, ნაგლინი — 60,9 მილიონი ტონა, რკინის მადანი — 126 მილიონი ტონა, მინერალური სასუქები (პირობითი ერთეულებით) — 29,5 მილიონი ტონა, ქიმიური ბოჭკო — 374 ათასი ტონა, ლითონსაჭრელი ჩარხი — 148 ათასი ცალი, ავტომობილი — 546 ათასი ცალი, ტრაქტორი — 301 ათასი ცალი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მათი სათადარიგო ნაწილები — 1.305 მილიონი მანეთისა, მარცვლის ასალები კომბაინი — 75,1 ათასი ცალი, ქაღალდი — 2,8 მილიონი ტონა, ცემენტი — 62,9 მილიონი ტონა, ქსოვილები: ბამბისა — 4.432 მილიონი კვადრატული მეტრი, შალისა — 407 მილიონი კვადრატული მეტრი, სელისა — 478 მილიონი კვადრატული მეტრი, აბრეშუმისა — 699 მილიონი კვადრატული მეტრი, ტყავის ფეხსაცმელი — 417 მილიონი წყვილი, ხორცი (ხელფეულის სახელმწიფო რესურსებიდან) — 4,4 მილიონი ტონა, კარაქი, ყველი და სხვა რძის პროდუქტები რძეზე გადაანგარიშებით — 34 მილიონი ტონა, კონსერვი — 6,6 მილიარდი ქილა, საპონი — 26 მილიონი ცალი, ტელევიზორი — 3,7 მილიონი ცალი, ავეჯი — 1.631 მილიონი მანეთისა.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოებულია მეტი: ელექტროენერგია — 34 მილიარდი კილოვატსაათი, ნავთობი — 17 მილიონი ტონა, გაზი — 11 მილიარდი კუბური მეტრი, ქვანახშირი — 7 მილიონი ტონა, თუჯი — 3,2 მილიონი ტონა, ფოლადი — 4,1 მილიონი ტონა, მზა ნაგლინი — 3,4 მილიონი ტონა, მინერალური სასუქი — 3,5 მილიონი ტონა, ავტომობილის საბური — 1,4 მილიონი ცალი, ავტომობილი — 45 ათასი ცალი, ქიმიური მოწყობილობა — 11 მილიონი მანეთისა, ცემენტი — 3,5 მილიონი ტონა.

გადიდდა აგრეთვე ფერადი ლითონების, სინთეზური კაუჩუკისა და ამიაკის, ნავთობგადამუშავებისა და ნავთობქიმიის პროდუქტების და ბევრი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოება.

გაიზარდა სახალხო მოხმარების საგნების წარმოება: ყველა სახეობის ქსოვილებისა — 311 მილიონი კვადრატული მეტრით, ტრიკოტაჟის საცვლებისა და ზედა ტრიკოტაჟისა — 61 მილიონი ცალით, შეკერილი ნაწარმისა — 1,1 მილიარდი მანეთით, ტყავის ფეხსაცმლისა — 31 მილიონი წყვილით, ხორცისა — 629 ათასი ტონით, მცენარეული ზეთისა — 221 ათასი ტონით, თევზისა — 495 ათასი ტონით, რადიომიმღებების და რადიოლისა — 640 ათასი ცალით, ტელევიზორისა — 420 ათასი ცალით, მაცივრისა — 378 ათასი ცალით, სარეცხი მანქანისა — 358 ათასი ცალით, ავეჯისა — 162 მილიონი მანეთით.

გაუმჯობესდა სამრეწველო საწარმოთა მოწყობილობის გამოყენება. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი გაუმჯობესდა 2,5 პროცენტით; ფოლადის საშუალო სადღეღამისო ართმეცა ქვედის ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე გადიდდა ორი პროცენტით; პირობითი სათბობის ხვედრითი ხარჯვა კილოვატსაათ ელექტროენერგიაზე შემცირდა 2,7 პროცენტით; ნავთობმომაპოვებელ მრეწველობაში გაიზარდა ნავთობის ამოღება ჭაბურღილებიდან; ცემენტის მრეწველობაში მბრუნავი ღუმელების საათობრივი მწარმოებლობა გადიდდა 5 პროცენტით და წისქვილებისა — 2 პროცენტით.

გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის, თვითღირებულების შემცირების გეგმა და დაგროვების გეგმა.

შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში, აღნიშნულია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში, გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით გაიზარდა 7 პროცენტით, ხოლო მოგება — 23 პროცენტით.

თუმცა მთლიანად ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით გეგმა წარმატებით შესრულდა, არის სამრეწველო საწარმოები, რომლებმაც ვერ შეასრულეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერებისა და მოგების დაკალებანი. ცალკეულმა სამინისტროებმა ვერ შეასრულეს მოტორის სამბობის, პოლიქლორვინილის ფისისა და სოპოლიმერების, კაუსტიკური სოდის, ამწე ელექტროძრავების, ზოგიერთი სახეობის ჩარხების, მეტალურგიული მოწყობილობის, კარტოფილასაღები მანქანების, სამშენებლო ავტოსის, მაცივრების წარმოების ცხრა თვის გეგმა.

სამინისტროთა და უწყებათა სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციები და საწარმოები ასრულებდნენ მეცნიერული კვლევისა და სამუშაოთა ფართო კომპლექსს, აითვისეს მთელ რიგ ახალ სახეობათა პროდუქციის წარმოება, მუშაობდნენ მოწინავე ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის და მართვის ავტომატიზებული სისტემების შემდგომი დანერგვისათვის. მაგრამ მთლიანად არ შეუსრულებიათ ახალი ტექნიკის დანერგვის ყველა დავალება.

მომდინარე წლის ცხრა თვეში სახალხო მეურნეობაში დაინერგა ორ მილიონზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც იძლევა 1,5 მილიარდ მანეთისაზე მეტ ეკონომიის ერთ წელიწადზე გაანგარიშებით. (საკვლევი).



ზემო აქვთ ქართველ ენერგომშენებლებს. გუშინ საექსპლოატაციოდ გადაეცა და ამიერკავკასიის ენერგოსისტემა ჩაერთო თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მეოთხე ბლოკი. ანძები, რომლებსაც ამ სურათზე ხედავთ, სწორედ ახალ ელექტროსადგურს ეკუთვნის.

მასალა ქართველ ენერგომშენებლებისა ამ დიდ გამარჯვებაზე იხილეთ გაზეთის მეორე გვერდზე.

ფოტო ხ. თევზაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# საქართველო „ექსპო-67“ გამოფენაზე

**მონრეალი.** 16 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ვლადიმერ მიხაილოვი გვატყობინებს: მსოფლიო გამოფენაზე „ექსპო-67“ 15 ოქტომბერს სსრ კავშირის პავილიონის მასპინძელი იყო საბჭოთა საქართველო. ღილით მოედანზე პავილიონის წინ მონუმენტურ ქანდაკებასთან „ნამგალი და ურო“ საზეიმო ვითარებაში აღმართეს საქართველოს სსრ ალამი. გამოფენის ათასობით დამთვალიერებელი, რომლებიც ჩვეულებრივ შეიკრიბნენ აქ პავილიონის გახსნამდე დიდი ხნით ადრე, გულთბილად შეხვდა დღესასწაულზე ჩამოსული საქართველოს სსრ მთავრობის დელეგაციას რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. დ. ჯავახიშვილის მეთაურობით.

„ექსპო-67“-ზე სსრ კავშირის ექსპოზიციაში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე სსრ კავშირის ხალხთა მიღწევების ჩვენებას ეძღვნება, საპატიო ადგილი უკავია საქართველოს ექსპონატებს.

საბჭოთა პავილიონში შესასვლელთან ყურადღებას იპყრობს სვეტები, რომლებიც მოპირკეთებულია მხატვრების შ. და ე. ციციშვილების მიერ შესრულებული ნაჭედი ფინებით. მხატვრებმა შექმნეს დასამახსოვრებელი სახეები: ასრულებენ გრაციოზულ ცეკვა ქართულს, ქალიშვილი კრეფს ყურძენს, მზე დანათის დედასა და ბავშვს, ბავშვებს, რომლებიც მხიარულად თამაშობენ, ახალგაზრდობას, რომელიც ცოდნას ესწრაფვის. შ. და ე. ციციშვილებმა აგრეთვე დეკორაციულად გაფორმეს პავილიონის პირველი სართული, სადაც მოთავსებულია განყოფილება „ზღვებისა და ოკეანეების ათვისება“. ეს ჰედური ხელოვნება წარმოსახავს მეღუზების, წყალმცენარეების, ზღვის სიღრმეების უცნაურ მკვიდრთა სამეფოს.

განყოფილებაში „კულტურა და ხელოვნება“ წარმოდგენილია ხელოვნების ბევრი მრავალფეროვანი ჟანრი და სახეობა. საქართველოს, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ხელოვნებას საფუძვლად უდევს თავისი მრავალსაუკუნოვანი კულტურის ტრადიციები. ამიტომ მთელი განყოფილების ექსპოზიციის დასაწყისში შემთხვევითი არ არის, რომ სხვა ხალხების ძეგლებთან ერთად წარმოდგენილია საქართველოს ერთერთი უძველესი ნაგებობის, VII საუკუნის არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშის ჯვარის მონასტრის მაკეტი.

განყოფილების ძირითად ექსპოზიციაში დამთვალიერებელთა აღტაცებას იწვევს საქართველოში კვლავ აღორძინებული ძველებური ოქრომჭედლობა.

ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს ი. ოჩიაურის ნამუშევრიც „ვეფხვთა ომი“, რომელიც შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ თემაზეა შექმნილი, გ. გაბაშვილის პანო „ხევსური გოგონა“, კ. გურულის „შვიდნი გურჯანელნი“ და დ. ყიფშიძის „შოთა რუსთაველი“.

სახვითი ხელოვნების დარბაზში ნაჩვენებია საქართველოს მხატვართა ყველა თაობის წარმომადგენელთა ნამუშევრები. აქ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მხატვარ ლ. ძაძამიძის ტილო „ტყვარჩელი“, მხატვარ მ. თარიშვილის „ნატიურმორტი“ და მხატვარ ჯ. ხუციშვილის „პორის ცხობა“ და „ალერსი“.

ვრცელია გრაფიკის დარბაზი — აქ წარმოდგენილია გ. ჩირინაშვილის, დინარა ნოდიას და რესპუბლიკის სხვა წამყვანი მხატვრების ოცდაათზე მეტი ნამუშევარი. დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე ქართული ქანდაკება, კერამიკა და ოქრომჭედლობა, ქართული ხელოვნების ექსპოზიციის გამაერთიანებელი კარგი ფონი — საღამოს თბილისის უზარმაზარი ფერადი პანორამა დიაპოზიტივი.

რესპუბლიკის ექსპოზიცია სხვა განყოფილებებში დამთვალიერებელთ აცნობს საქართველოს ეკონომიკას. სოფლის მეურნეობის განყოფილების სტენდებზე ექსპონირებულია მსოფლიოში ცნობილი ქართული ღვინოები, ყურძენი, ჩაი, აქვე არის ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო-16“. სტენდზე წარწერილია: „საბჭოთა საქართველოში მსოფლიოში პირველად დაინერგა ჩაის მანქანური კრეფა“.

ახლა საქონელი მარკით „გაკეთებულია საბჭოთა საქართველოში“ გაჰქვთ მსოფლიოს სამოცზე მეტ ქვეყანაში; ამ საქონელს შორის მთავარი ადგილი უკავია სამრეწველო ნაწარმს. თუ როგორ გაიზარდა რესპუბლიკის ინდუსტრია საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ამას მოწმობენ მრეწველობის განყოფილების ექსპონატები. აი აზოტიანი სასუქების საწარმოო ქიმიური კომბინატის მაკეტი. მაკეტზე აღმართულია საქართველოს სსრ ალამი. სტენდის მუშაკი განმარტავს, რომ „ახეთივე ქარხანა არის საქართველოში — ქალაქ რუსთავის აზოტიანი სასუქების ქარხანა“. იქვე ახლოს დგას ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის სტენდები; ექსპონატებზე აქაც აღმართულია საქართველოს ალმები.

შეუძლებელია ჩამოვთვალოთ ყველა ან თუნდაც მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ექსპონატები — ისინი წარმოდგენილია ყველგან, უზარმაზარი პავილიონის ყველა დარბაზში — ჩარხმშენებლობისა და კოსმოსის ათვისების, ატომური ენერგიის გამოყენებისა და სახალხო განათლების, ქალაქმშენებლობის, ბუნებრივი რესურსების განყოფილებებში და, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებაში. აქ მუდამ ბევრი დამთვალიერებელია, ისინი აღტაცებით და რამდენადმე უნდობლად ათვალიერებენ შავი ზღვის ხანაპიროს მსოფლიოში ცნობილი კურორტების მაკეტებსა და ფოტოვიტრინებს.

პავილიონში ყველს ქართული მუსიკა უეცრად მას ახმობს ტაშის გრიალი. ტაში ისმის კინოდარბაზიდან, სადაც მომდინარეობს ქართული ხელოვნების ოსტატთა მორიგი კონცერტი. აქ ჩამოვიდა პოპულარული ანსამბლი „ორერა“, რომერტ ბარძიმაშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლმა მოიხიბლა გამოფენის დამთვალიერებელნი და მონრეალელი მუსიკალური კრიტიკოსები, რომლებიც უტოლებენ მას მსოფლიოს საუკეთესო საესტრადო დასებს.

დიდი მოწონება დაიმსახურა ვაუთა ვოკალურმა ანსამბლმა „გორდელამ“, მათ მიერ შესრულებული ხალხური სა გუნდო პოლიფონიური ნაწარმოებები — წერს „მონრეალ სტარის“ მუსიკალური კრიტიკოსი, — ყველაზე მაღალ შეფასებას იმსახურებს. უდიდესი წარმატება ხვდა წილად თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტებს მედეა ამირანაშვილს, ნოდარ ანდღულაძეს, სანაბალეტო წყვილს ალა დვალსა და ვახტანგ გუნაშვილს, ახალგაზრდა მევიოლინეს, მარგარიტა ლონგისა და ოკ ტიბოს სახელობის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატს ნანა იაშვილს, საქართველოს ფილარმონიის სოლისტს ელისო ვირსალაძეს. მაყურებელნი აღტაცებული ხვდებიან ქართველ მსახიობებს. ჩვეულებრივ თავშეკავებული კრიტიკოსები აცხადებენ, რომ მათი გამოსვლები „განსაცვიფრებელი ტრიუმფია“.

ამ დღეს ტელევიზიამ თავისი პროგრამა საქართველოს მიუძღვნა. ნაჩვენები იყო ქართული დოკუმენტური და მხატვრული ფილმები, რომლებიც ასახავენ ქართველი ხალხის ცხოვრებასა და შრომას. პავილიონის დამთვალიერებლებმა დიდი უყრადღებით მოისმინეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. ჯავახიშვილის გამოსვლა ტელევიზიით.

საქართველოს დღესასწაულის დასასრულს საბჭოთა კავშირის სექციის გენერალური კომისრის მოვალეობის შემსრულებელმა პ. ჩერვიაკოვმა დიდი დარბაზობა გაუმართა საქართველოს სსრ მთავრობის დელეგაციას.



**დღეს ბორჯომში გაიხსნება ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის რესპუბლიკური შეკრება.**

**მხურვალე სალამი შეკრების მონაწილეებს!**

## გაიხსნა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

**მოსკოვი.** 17 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს 10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა რუსეთის სფსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს II სესია.

სესია განიხილავს საკითხებს: რუსეთის სფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის სახელმწიფო გეგმა და რუსეთის სფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 და 1970 წლების გეგმები; რუსეთის სფსრ 1968 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი და რესპუბლიკის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება; რუსეთის სფსრ სახალხო პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება; რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევა.

დამსწრენი გულთბილად მეხვეოდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს.

## • საიუბილეო რთველი •

# გურჯაანელ მევენახეთა წარმატება

მიმდინარე წლის ზაფხული ჩვენი მევენახეებისათვის არასახარბიელო იყო, — თქვა „კომუნისტის“ თანამშრომელთან საუბარში საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. აზაურავშვილმა, — გამუდმებულმა წვიმებმა გააძნელა აგროწესებით დადგენილ ვადებში საველნახე სამუშაოების შესრულება. ბევრი სოფლის ვენახები რამდენჯერმე დაისეტყვა. მიუხედავად ჭირვეული ამინდებისა, მევენახეებმა უკან რიდი დაიხიეს. უამინდობას ყველაფერი დაუპირისპირეს, და წარმატებასაც მიაღწიეს.

**გურჯაანელმა მევენახეებმა საიუბილეო წელს სახელმწიფოს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 36.535 ტონისა მიჰყიდეს 37.371 ტონა ყურძენი.**

ყურძნის დამზადების საქმეში თავი გამოიჩინეს ვაზისუბნის (თავმჯდომარე ზ. ბრაგაძე), ველისციხის (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი დ. მამისაშვილი), ჩუმლაყის (თავმჯდომარე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. უტიაშვილი), მელაანის (თავმჯდომარე გ. იმერლიშვილი), კაჭრეთის ციროვისა და მახარაძის სახელობის (თავმჯდომარეები ს. ნარიაშვილი და ვ. ღვინიაშვილი) კოლმეურნეობებმა, მუკუზნის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი მ. იაშვილი), შრომის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ვ. მაყაშვილი), კარდანახის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი თ. სეხნიაშვილი) და სხვ.

ვაზისუბნის კოლმეურნეობამ ნაცვლად 3.000 ტონისა 4.700 ტონა ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს, ველისციხის კოლმეურნეობამ ნაცვლად 3.000 ტონისა — 3.275 ტონა, ჩუმლაყის კოლმეურნეობამ ნაცვლად 1.800 ტონისა — 2.565 ტონა, მელაანის კოლმეურნეობამ ნაცვლად 100 ტონისა — 210 ტონა, მუკუზნის საბჭოთა მეურნეობამ ნაცვლად 3.629 ტონისა — 3.956 ტონა, შრომის მეფეხნიების საბჭოთა მეურნეობამ ნაცვლად 1.910 ტონისა — 2.288 ტონა, კარდანახის მეგვენახეობის საბჭოთა მეურნეობამ ნაცვლად 1.905 ტონისა — 1.988 ტონა და სხვ.

კარგად იმუშავეს შრომის, მუკუზნის, პირველმა და მეორე, ველისციხის, გურჯაანის, კაჭრეთის ღვინის ქარხნებმა (დირექტორები გ. ქუმსიაშვილი, ვ. შავგულიძე, ზ. უსუნაშვილი, ვ. სიხარულიძე, გ. ზარდიაშვილი, გ. ჩანტლაძე).

რთველი გრძელდება.

## მარნეულელთა სიტყვა და საქმე

**საქართველოს** კპ მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა **ზ. ნემსაძემ** გუშინ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა, რომ მიუხედავად პირველი ამინდისა, რაიონის მშრომელებმა საიუბილეო წელს სასახელოდ იმუშავეს. წლიური გეგმით გათვალისწინებული 5.071 ტონა ყურძნის კრეფა და სახელმწიფოსათვის მიყიდვა კარგახანია შესრულდა. წლიური გეგმის გადამეტებით უნდა მოეკრიფოთ 2.529 ტონა ყურძენი. ვალდებულების შესრულებაშიც სასახელო მაჩვენებლებს მიაღწიეს. **17 ოქტომბრისათვის უკვე მოეკრიფა 8.000 ტონა ყურძენი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 5.071 ტონისა.**

ასე სრულდება საოქტომბრო ვალდებულებანი

# ნოგათეკი დიად საქმეზე!

**დიდება დიდი ოქტომბრის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ მოწინავე კოლექტივებს! უფრო მაღლა ავწიოთ ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის დროშა!**

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის)

## საიუბილეო დღიური

◆ **ბათუმი.** (საკ. კორ.). ახალშენის კოლმეურნეობის კულტურის სახლში მიეწყო შეხვედრა ხამამულო ომისა და ხაკოლმეურნეო შრომის ვეტერანებთან. ვეტერანებს მიესალმა ახალშენის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ვერძაძე. ვეტერანების მიერ განვლილ გზაზე ილაპარაკა კოლმეურნეობის პარტიიურის მდივანმა ა. ბარამიძემ.

შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ ბათუმის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ხ. ჯანკურაძე, ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" თავმჯდომარე ა. მურუზიდი, საკოლმეურნეო შრომის ვეტერანი ა. ჩილაკიდი.

დასასრულ ახალშენის კულტურის სახლის აგიტმხატვრულმა ბრიგადამ გამართა კონცერტი.

◆ **ორჯონიკიძე.** „მამათა გზაო" — ასე ეწოდა ძველი და ახალი თაობის შეხვედრას, რომელიც საზეიმო ვითარებაში გაიმართა ორჯონიკიძის სარაიონო კულტურის სახლში. აქ მოვიდნენ ძველი ბოლშევიკები, სახელოვანი ადამიანები, რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეხვედრა გახსნა საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ჯოგლიძემ. მოხსენება „დიდი ოქტომბერი და ჩვენი რაიონი" წაიკითხა კომკავშირის რაიკომის მდივანმა ემზარ ბედიაშვილმა.

სიტყვებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის გმირი დავით ბაქრაძე, სოციალისტური შრომის გმირი ტარიელ მაჭავარიანი, კიტალი შეფენაგი ლენინის ორდენოსანი ლოლა შერგელაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი თამარ დეკანოსიძე, მარელისის ბრიგადის ფაბრიკის მუშა ნელი იაშვილი.

## საიუბილეო დღიური

მოწვეულ სტუმრებს მიესალმნენ პიონერები და ცოცხალი ყვავილების თაიგულები გადასცეს მათ.

**ჯ. გიორგაძე.**

◆ **ყვარელი.** (საკ. კორ.). ილიას ნატერფალ მიწაზე დიდმა ოქტომბერმა საბოლოო ზღვარი დაუდო მამთა და შვილთა ყველა უთანხმოებას. „ქინძმარაულისა" და „ვრძელი მინდვრების" მოხუც მეზვერეს საიმედო თანაშემწეებად უდგანან მხარში ახალგაზრდა მეგვინეები. და აი, საიუბილეო წლის ბარაქიანი რთველის დღეებში შრომის ვეტერანებს ანგარიში ჩაებარეს რაიონის ახალგაზრდა კომუნისტებმა და კომკავშირელებმა.

ბრძოლისა და საკოლმეურნეო შრომის ვეტერანებმა სიამოვნებით მოისმინეს შალდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელის ი. ნიკოლოზიშვილის, ახალგაზრდა აგრონომის ბ. კოტახიძისა და სხვათა ანგარიშები. ახალგაზრდობას საკუთარი ცხოვრების ლამაზი ფურცლები გადაუშალეს უხუცესმა მეგვინახემ, სოციალისტური შრომის გმირმა ა. ჯიბავაძემ, სამამულო ომის მონაწილემ გ. მჭედლიშვილმა.

◆ **ახმეტა.** მაღრაანის კოლმეურნეობის კლუბში პირველად პარტორგანიზაციის თანამონაწილეობით გაიმართა თემატური საღამო, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი.

მისმა მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს ვ. შიომღვდლიშვილის ლექცია — „საბჭოთა სახელმწიფო — ოქტომბრის რევოლუციის პირშეო".

მოხსენება „შრომელთა ალზრდა მაღალი კომუნისტური შეგნების სულისკვეთებით კომუნიზმზე გადასვლის დიდ- უბილეო წლის ვალდებულებათა შესრულებაზე ესაუბრა კომკავშირის დუშეთის რაიკომის მდივანი გ. ლოსეულიანაშვილი. ახალგაზრდებს სიტყვით მიმართა დუშეთის მეორე საშუალო სკოლის პედაგოგმა მ. არუთინოვმა.

„პირველი ახალგაზრდული საღამო დუშეთის რაიონში" — ასეთი მოგონებით გამოვიდა 1918 წლის დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების მონაწილეი, პერსონალური პენსიონერი ი. ლალიაშვილი.

ახალგაზრდები მაყურებელთა წინაშე გამოვიდნენ მხატვრული კითხვით, სიმღერებით, ცეკვებით, საკუთარი ლექსებით. ამ კულტურულ-მასობრივ ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუმრები გორიდან, ახალციხიდან, თიანეთიდან, მცხეთიდან და ხაშურიდან.

**ლ. ხოსროშვილი.**

◆ **ონი.** კულტურის სახლში გაიმართა წინასაოქტომბრო შეხვედრა პატრიოტთა და სამამულო ომის ვეტერანებთან. შეხვედრა გახსნა პარტიის ონის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ალიაშვილმა. ვეტერანებს მიესალმა პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე გ. ლობჟანიძე.

შეხვედრაზე სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ ღვაწლმოსილნი ალოლონ ჯაფარიძე, ნინო გურგენიძე, ვანო რეგვავაშვილი. შეხვედრაზე ონის კულტურის სახლის მხატვრულმა კოლექტივმა გამართა კონცერტი.

**დ. ხახიაშვილი.**

◆ **საჩხერე.** ლიჩის სასოფლო კლუბში გულთბილი შეხვედრა მოეწყოს ძველ რევოლუციონერს იასონ ცარციძეს და დიდი სამამულო ომის ვეტერანს ივანე ტეფნაძეს. მათ დამწერეთ მოუთხრეს თავიანთი საბრძოლო ეპიზოდები. შეხვედრაზე საკუთარი ლექსები წაიკითხეს დ. ლომიძემ, ნ. ლომიძემ, ნ. ხარაიშვილმა.

**ოთ. ლომიძე.**

# შეჯიბრების ძალა

**წითელწყაროელ მხვნელ-მთესველთა სიტყვა და საქმე**

**ა. გონაგაშვილი,**
საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი

რაც უფრო ვუახლოვდებით ოქტომბრის სახელოვან იუბილეს, მით უფრო ფართოდ ჩაედება სოციალისტური შეჯიბრება, რომელსაც როგორც ყოველთვის, წარმოების ყველა უბანზე სათავეში უდგანან პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები.

სოფლის რაიონის სოფლის მშრომელთა თაოსნობის პასუხად ჩვენი რაიონის მშრომელები გამოვიდნენ სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთ ინიციატორად და დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად მაღალი ვალდებულებანი იკისრეს.

ახლა, როცა დამთავრებულია მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, სიამაყით ვაცნობთ თვალს საიუბილეო შეჯიბრების პირველ შედეგებს, რომლებიც რაიონის მშრომელთა სასახელო წარმატებებზე მეტყველებენ. პირველადი პარტიული ორგანიზაციები აჯამებენ მოპოვებულ პირველ შედეგებს და ანხორციელებენ ღონისძიებებს სამეურნეო წლის მაღალი მაჩვენებლებით დამთავრებისათვის.

შემჭიდროებულ ვადებში, უდანაკარგოდ დამთავრდა საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. ამ კამპანიის დაწყებას წინ უსწრებდა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა რაიონული შეკრება, რომელსაც ესწრებოდნენ ჩვენი კრასნოდარელი თანამოსაქმეები. მათთან გაშალეთ სოციალისტური შეჯიბრება და განვიხილეთ მოსავლის აღების დაწყებისათვის მზადყოფნის საკითხი.

**თორმეტ საუკუნო დღეში აპირებთ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი!** — თქვეს ჩვენმა მექანიზატორებმა. და თავიანთ სიტყვას უფრო მეტი სიმტკიცე მისცეს. პარტიული და საბჭოური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ყველა მშრომელის ენერგიული შრომის შედეგად ეს სიტყვა პირნათლად იქნა შესრულებული. ჯერ კიდევ არ დამთავრებულ სიმინდის მოსავლის აღება, მაგრამ ვალდებულება უკვე განადღებულია, ნაცვლად 58.000 ტონისა ვაზარმოეთ 60.000 ტონა მარცვლეული. ნაცვლად 17 ცენტნერისა ჰექტარზე მიეღებულია 19,2 ცენტნერი მარცვალი.

კოლმეურნეობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა და გამგეობებმა განსაკუთრებული ორგანიზებულობა გამოიჩინეს მარცვლეულის დამზადების საქმეში. **რაიონის მხვნელ-მთესველებმა გეგმით მათთვალისწინებული 10.070 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ბელეზი მიეტანეს 28.000 ტონა მაღალხარისხოვანი მარცვალი და დავალება 228 პროცენტით შეასრულეს.** ამ კეთილშობილურ საქმეში თავი გამოიჩინა ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ. პირველ რიგში კი უნდა აღვნიშნოთ ჯაფარიძის, ქალაქ წითელწყაროს, ორჯონიკიძის, ქვემო ქედის, წითელწყაროს ლენინის, ზემო მაჩხაანის, ზემო ქედის, არბოშიკის კალინინის და არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობები, რომელთაც სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის წლიურ მატებას. ხემინარზე დაასახა კოლგოტეტული ღონისძიებანი მიმდინარე წლის საშემოდგომო ხვნა-თესვის ორგანიზებულად წარმოებისათვის, მომავალი წლის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

წარმატებით იშრომეს საკვებმომპოვებლებმა, დამზადებულია 39.000 ტონა უხეში საკვები და 80.000 ტონა სილოსი. მოსავლის აღების პარალელურად ისინი ნამჯისაგან ათავისუფლებდნენ ნიადაგს. ნამჯას აგროვებდნენ და გამქონდათ ნაკვეთებიდან, ნიადაგს ამზადებდნენ მზრალად ხვნისათვის. ამასთან ერთად ნამჯის შეგროვება-დაზვინვაში წელს სიახლე შეტანილი. თუ წინათ ნამჯა პატარ-პატარა ზვინებად იდგმებოდა, ახლა მინდვრიდან მოლიანად გარეთ გამოგვქონდა და დიდ ზვინებად ვდგამდით. ამით ვათავისუფლებთ მინდორს და ეწმენდით სარეველებისაგან, ამასთან ხვნისათვის მეტი ფართობი გვრჩება.

საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციებმა საიუბილეო წელს უფრო მეტად გაამახვილეს ყურადღება ბოსტნეულ-ბაღჩეულობაზე და ხილის მოსავლის მატებისათვის, რითაც მთლიანად დაკმაყოფილეს ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილება და ამით მინიმუმამდე შევამცირეს საბაზრო ფასები.

ახლა განსაკუთრებული ამოცანების წინაშე დგანან რაიონის მხვნელ-მთესველები, მათ საიუბილეო წლის შემოდგომაზე უნდა მოიყვანონო, მარიამი უკვე შრომაში გაერთო.

შაქრის ჭარხლის პლანტაციებიდან გზისკენ მივდიგარო. მუხლებამდე გვწვდება ჭარხლის მწვანე, ხასხასა ფოთი. იაკობი ბევრს მიუბრუნდა, ჭარხლის ფოთლის დაგროვებით დინჯერიდა. თან შეახსენა, ეს ძვირფასი საკვებია და არცერთი ფოთოლი არ უნდა დავკარგოთო.

გზადაგზა თვითსაცლელი მანქანები გვეგდება. ზოგი მძიმედ არის დატვირთული ტკბილი ნაყოფით. ზოგიც დასატვირთად მიეჭარება. მოხსნის, ბრეძის, ამბისის, კეცხეურის, ბრეთის და სხვა კოლმეურნეობათა მინდვრებისკენ. ეს სურათი უფრო მკაფიო მაშინ გახდა, როცა აგარის შაქრის ჭარხლის ბიშდეს ბუნქტში მივედით. აქ ჭარხლის ყვებერთელა მთებია აღმართული. ისმის მანქანებისა და ავტომატური გადმომტვირთავების გუგუნი. ტკბილი ნაყოფით დატვირთულ ავტომანქანას უცვე აიტაცებენ ხოლმე ჰაერში ავტომატურ გადმომტვირთავ მანქანაზე მომუშავენი ოსარ ნემანიშვილი, გიორგი ქურთაული, მისეილ სტეფანოვი, ანზორ ბეროსაშვილი და ოსარ მამიჯანაშვილი, ორი წუთის განმავლობაში იცლება ჭარხლით დატვირთული ორ, სამ და ოთხტონიანი მანქანები.

ბუნკერი, სადაც ჭარხალი იცლება, პირველად ისეთ ხმას გამოსცემს, კაცს ეგონება, სადღაც მეხი გავარდაო. მერე აქედან კონვეიერს გადაკვეს ბორს დიდ სიმაღლეზე და წარმოიშობა ჭარხლის ვეებერთელა მთები. სავარაუდო მონაცემებით წელს ამ პუნქტში მარტო ქარელის, ხაშურისა და ზნაურის რაიონებიდან უნდა შემოიზიდოს 700 ათასი ცენტნერი ტკბილი ნაყოფი, რომელზეც ვინ მოსთვლის რამდენი შრომაა დახარჯული.

შაქრის ჭარხალი ხომ მეტად შრომატევადი კულტურაა. გამოჩნდება თუ არა მიწიდან ორფოთოლა, თითო ღერის ბავშვივით უნდა მოვლა და ყურადღება. მინახავს შაქრის ჭარხლის პლანტაციებში მარგვლის დროს მუხლის ჩოქებზე მოსიარულე ადამიანები, რომლებიც თითებით ეფერებიან თვითეულ ძირს. შემდეგ თოხს მოიმარჯვებენ, შეაქვთ სასუქი, რწყავენ და მერე წარმოიშობა ეს ტკბილი მთები, საიდანაც მზადდება ათასობით ტონა სიტკბო ქარელის მიწისა.

**რ. გასილაშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

## გარდაბნის კაშკაშა შუქი

**მწყობრშია ახალი ობიექტი**

**გუშინ** მწყობრში ჩადგა საიუბილეო წლის ერთ-ერთი ახალი ობიექტი — თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მეოთხე ენერგობლოკი. წარმოდგენა რომ შეგვექმნას ამ ობიექტის სიმძლავრეზე, საკმარისია აღინიშნოს, რომ მისი მთლიანი ამოქმედების შემდეგ თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური ელექტროენერგიას, რამდენსაც ამჟამად შუშვებს რესპუბლიკის ყველა ელექტროსადგური ერთად აღებული.

გუშინ, ოფიციალური მოსამზადებელი სამუშაოების მოთავების შემდეგ, სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილებით დაიწყო ბლოკის 72 საათიანი კომპლექსური გამოცდა. ეს ნიშნავს, რომ ბლოკმა უკვე დაიწყო ელექტროენერგიის გამოშვება და ჩაერთო ამიერკავკასიის ელექტროენერგიის ქსელში.

ბლოკის მშენებლობა დავალებული აქვს „საქჰიდროელექტრომშენის" გარდაბნის სამმართველოს (უფროსი ზ. მაჭავარიანი). ბლოკის მშენებლობაზე განსაკუთრებით გამოირჩნა თავი უბანმა, რომელსაც ო. გაჩეჩილაძე ხელმძღვანელობს. თავის მხრივ ბლოკის საექსპლოატაციოდ მომზადებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის დირექციამ (დირექტორი ვ. ქინქლაძე), სადგურის მორიგე ინჟინერმა ვ. ჩადუნელმა, საქვაბე საცურბინო საამქრის ინჟინრმა ვ. ოდინერმა, საქვაბე საბურბინო საამქრის ინჟინრმა ბ. ლომიამ, უფროსმა მემანქანემ ვ. დევრისაშვილმა, ქვაბის მემანქანემ კ. კუნცაძემ და სხვებმა.

ახალი, მეოთხე ბლოკის მშენებლობაზე ქებით უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე სამონტაჟო ორგანიზაციები: „კავკაზელექტრომონტაჟის" უბანი (უფროსი ი. ოვანესიანი), „თბურავტომატიკის" ტრესტი (მმართველი ი. კოტიაშვილი), „ტეპლოცენტრალის" სამმართველოს უბანი (უფროსი ა. ისაევი) და სხვები.

ახალი ბლოკი მწყობრშია, მაგრამ სადგურის მშენებლები კვლავ განაგრძობენ შრომას. მომავალში მათ კიდევ უნდა აეშენონ ორი ახალი ბლოკი, რომელთა მშენებლობა უკვე დაწყებულია.

ამრიგად, თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგური, როცა იგი ექვსივე ბლოკით ამოქმედდება, ერთ-ერთი უმძლავრესი იქნება მთელ ჩვენს კავშირში.

**ზ. მერკვილაძე.**
„კომუნისტის" საკ. კორ.

• • •

**სურათზე:** თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებელთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი **კონსტანტინე აჯამოვი**, დურგლები **იური ქუთაისოვი** და **გურამ ელბაქიძე**, მემონტაჟეთა ბრიგადის ხელმძღვანელი **მიხეილ როოტი**, ინჟინერი **გურამ მესხი** და უბნის უფროსი, ინჟინერი **როსტომ გაჩეჩილაძე**.

ფოტო **ხ. თევზაძისა**, (საქდესის ფოტოკორესპ.).

## ცხრა თვის გეგმა — ვადამდე

**სოხუმი.** (საკ. კორ.) ქალაქის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი, ვადამდე შეასრულეს საერთო პროდუქციისა და მეტწილ სახეობათა ნაწარმის გამოშვების ცხრა თვის გეგმა. დაგალების გადაჭარბებით წარმოებულია ფეხსაცმელი, ხორცი, ფუნთუშეული, შეკერილი ტანსაცმელი, რძის ნაწარმი და სხვ.

სახელმწიფო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სოხუმის ხორცკომბინატის (დირექტორი გ. ნოდია), საგალანტერეო და შემკერავი ფაბრიკების (დირექტორები შ. გვაზავა, ი. შარია), ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის (დირექტორი ბ. ბერიძე), ქიმიური და რძის ქარხნების (დირექტორები შ. მელაძე, ი. წიფწიფაძე) და ქალაქის სხვა ნაწარმოთა კოლექტივებმა.

## სიფკბო ქარელის მინისა

**რეპორტაჟი**

**ქვენატკოცის** მინდვრებში პირველად როდი მოვედი. აქაური მიწის ყოველი მტკაველი ჩემთვის ცნობილი და ახლობელია. ვიცნობ ადამიანებსაც. რომლებიც მიწას წელიწადის ამა ერთ დროს მოსვენებას არ აძლევენ. აქ დავიწყებას ჩაბარდა გამოთქმა, — მიწა ღრმა ძილს მისცემია. წელიწადის ყოველ დროს ტრაქტორების გუგუნი ისმის ან მშრომელი ადამიანების ერიამული და მხიარული შეძახილები ავსებს ქვენატკოცელების არემარეს...

— მარიამის ნაკვეთში დატვირთე, მარიამის! — რიხიანად შეუძახა თვითსაცლელის მძღოლს ვეება ვაკაცმა და ჩვენსკენ წამოვიდა.

— აბა, გივი ბუთურიშვილო, იკვეხიდი, წელს ჭარხლის სარეკორდო მოსავალი უნდა მივიღოო, ქარელის რაიონში პირველობას არავის დავუთმობო. ესაუბრე ამხანაგებს, რადაციიდან არიან, — ღიმილით უთხრა პარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა იაკობ ტოლიაშვილმა და თვითონ ჭარხლის ზვინებისკენ წავიდა, მინდორში ერთ სწორ ხაზზე რომ ჩაეშენებინათ ქვენატკოცელ მეჭარხლეებს.

ძალიან ხშირად ბრიგადირი უბის წიგნაკს მოიშველიებს ხოლმე. გივის კი ეს არ დასჭირებია. ერთხანს მორგვიგით კისერზე ხელი მოისვა და მერე სხაპასხუპით გვიპასუხა.

— წელს ჩემი ბრიგადის წევრებმა 17 ჰექტარი შაქრის ჭარხლის პლანტაცია დაასუფთავეს. გეგმით ჰექტარზე 323 ცენტნერი უნდა მოვიყვანოთ. მაგრამ გეგმას ვინ დასჯერდება. ჰექტარზე საშუალოდ 600 ცენტნერი, — აი ეს არის ჩვენი დევიზი. ჭარხალი მიღებული გვაქვს 11 ჰექტარზე, ისე რომ საორიენტაციო მაჩვენებელი შეგვიძლია დავასახელოთ. გივიმ ახლა მეორე თვითსაცლელის ძმღოლს მისცა მიმართულება, რომელიც მორიგ რეისზე მოვიდა. შემდეგ შაქრის ჭარხლის ხვავებთან მიგვიყვანა. და ფართო, სავსე სახიდან ღიმილი არ სცილდება.

— შეხედეთ, რამხელაა ეს დალოცვილი, შეხედეთ, — ხან რომელ ჭარხალს გვიჩვენებს და ხან რომელს. მართლაც ბევრია 5, 6 და 8 კილოგრამიანი ჭარხალი.

— მეურნეობის შაქრის ჭარხლის რომელი ნაკვეთიც უნდა დათვალიერო, ჩემს ნაკვეთებზე უკეთესი თუ არა ნაკლები არ არის. ქვენატკოცის საბჭოთა მეურნეობის ჭარხალი 260 ჰექტარი უთესია და ყველა ძირს საგულიგულოდ მოვუარეთ. თუმცა რა მალაპარაკებს, — ჩაირთხრობა ბრიგადირმა, — ალბათ ნახავთ გ. კეფელაძის, რ. გიგაშვილის და სხვათა ბრიგადების ნაკვეთებს. თავად დარწმუნდებით ყველაფერში. გაოცდებით შაქრის ჭარხლის პლანტაციებით, რაც მარტო ქვენატკოცელების შრომის შედეგი კი არა, ტაძისკარის არხის დიდი წყალობაც არის. დალოცვა მაგის ამშენებელი, წყალი მოდის მაცოცხლებელი.

კიდევ ერთი თვითსაცლელი მოვიდა შაქრის ჭარხლის წასაღებად; მას მეორე მოჰყვა. გივი არც წვენ გვაკლებს ყურადღებას და ავტომანქანებსაც უნარიანად არეგულირებს. ისინიც მიდიან დანიშნულებისამებრ. მიდიან მეჭარხლეებთან, რომლებიც ოქროს მაძიებლებივით შესცივიან თვალუწვდენელ მინდორს და ხალისიანად ფუსფუსებენ. ერთ დღესაც დიდად დაუფასდებათ მათ ეს თავდადებული შრომა. მათ იციან, რომ სახელმწიფოს შესყიდვის ფასი ცენტნერი შაქრის ჭარხლისა 2,9 მანეთია. პრემია-დანამატები კიდევ სხვაა. ასლა საქმე ის არის, ვინ რამდენ კილოგრამს მიაყიდის სახელმწიფოს.

ცოლ-ქმარს ვალიკო და ანნა ღვალაძეებს უკვე დაუტვირთავთ ტკბილი ნაყოფით თვითსაცლელი და ჭარხლის უკანასკნელ თავებს აწვდიან. მანქანა ძლივს დაიძრა ადგილიდან. ძრავი ისე ღმუის, შეტეცოდებათ. ვალიკომ ერთხანს თვალი გააყოლა თავისი ხაშრომით დატვირთულ მანქანას. მერე სათხრელს დასტაცა ხელი და ჭარხლის ამოღება განაგრძო.

აქეთ, მეზობელ ნაკვეთში, საკმაოდ ცოტაცებულ კაცს ჭარხლის ზვინთან ჩაუმუხლავს და თავებს ფოჩისაგან ათავისუფლებს. დაღარულ სახეზე ოფლი რომ მოაწვება, ჭიელი ქსოვილით იმშრალებს და ისევ განაგრძობს შრომას. შრომობს მაშინაც, როცა ვესაუბრებით. ბან დაბალი ხმით წარმოთქვა:

— ვალენტინ ღვალაძე გახლავართ, ეს კი ჩემი შვილია, ნათელა. დაძარღვული, დაკოჟრებული ხელი გაიშვირა სანდომიანი სახის გოგონასაკენ, რომელიც მოკაუჭებული დახით სწრაფად სხეპავდა ჭარხლის თავიდან ფოჩებს.

ღვალაძე 75 წლის მოხუცია, საკოლძეურნეო შრომის ვეტერანი. 1930 წლიდან ეწევა საზოგადოებრივ შრომას. დღენიადაგ მიწასთან ჭიდილში ალაპობს. მის თვალწინ ჩაიარეს წლებმა, ვალენტინ ცოცალი ბოწვია, როგორ შეიქმნა კოლმეურნეობა და დღეძღ როგორ ვითარდება იგი. ეს ანგაუტეხელი კაცი სამი ბიჭის და ოთხი ქალიშვილის მამაა. იტყვიან, ამიტომაც შრომობს დღენიადაგო, მაგრამ ასე როდია. ხშირად ეუბნებიან ნვილები, დაისვენეო, მაგრამ მისი პასუხი ერთია: — მიწის შვილი მიწასთან უნდა იყოს ჩაჭიდებული, მაგრად უნდა ედგას ზედ ფეხი, თორემ ერთსელაც იქნება ქარი წაიდგებს...

— გივი! სად დაკარგირთო, საფო! — ნაკვეთის ბოლოდან ძლივს მოგვაწვდინა ხმა თვითსაცლელის მძღოლმა. გივიმ მეზობელ ნაკვეთში კუჭურის შეტყობინა მანქანაში შენს ნაკვეთში მიიყვანეო. მოსსლეტილი ტანის კაცმა ფოჩიანი ჭარხალი ზემოთ აღმართა. მძღოლი მისცდა და მისი ნაკვეთისაკენ დაიძრა. ჩვენს მიახლოებამდე მანქანაც მოგვდა. მიესალმენ ქარელის ზვავი აზა ნინრაძე, სონია ღვალაძე, კუკური ნინრაძე და მისი მეუღლე ჯულიეტა. დაიწყეს მანქანის დატვირთვა. კიდევლად მანქანის თუნუქის ძარაშ ისეთი ხმა გამოსცა, იფიქრებდით, რიყის ქვას ტვირთავენო.

— გაიცანით მოწინავე მეჭარხლე, ადგილობრივი სპბჭოს დეპუტატი მარიამ ბათირაშვილი. ის შვილია მარიამისა, — საშუალო ტანის სასიამოვნოდ ახალგაზრდაზე გვანიშნა გივიმ. ბევრი ვესაუბრე მარიამს. იგი ყველა კითხვაზე დაუზარლად, ხალისიანად მიპასუხებდა. ხანდახან ღიმილი გაუკრავდა სახეზე და ჩვენიდან შორს არის, ძალიან შორს. სულ სხვაა მისი ფიქრის საკანი. მერე ისევ ვგიჟრუნდებ... მიზეზი ჩემებურად ავხსენი. არ ვიცი, რამდენად მართალი იქნება. სამამულო ომი დღესაც არ დამთავრებულა მარიამის ოჯახში. იგი ელის თავის მეუღლეს, რატომღაც არ სჯერა მისი დაღუპვა. გიორგი შრომით გაუთამაშია კაცი ყოფილა. კარგი მშრომელი ეი ყოველთვის კარგი მებრძოლია. ომრიამს არ სჯერა, თუ მას ფაშისტების ტყვია მოერტყოდა.

— როგორ ბრძანდებით, მარიამ? — შორიდანვე შეეხმიანა იაკობ ტოლიაშვილი, შემდეგ ახლოს მოვიდა და ხელი გაუწოდა. მარიამს ეუხერხულა, ბოდიში მოიხადა, ხელი მიწიანი მაქვს, ჭარხლის ფოჩისაგან გაშავებული.

— მეტი სადარდებელი ნუარაფერი გქონოდეთ. ეს ხელები ათასჯერ სჯობს ზოგიერთ ფაფუს, მანიკურიან ხელებს, — სიტყვა მიაშველა ქარელის რაიონის სოფლის მეურნეობის საუარმოო სამმართველოს უფროსმა კონსტანტინე შუბითიძემ და თვითონაც მიესალმა. სწორედ მან ხელების წვლილი იყო, რომ შარშან ჩვენმა რაიონმა 1256 ჰექტარიდან 47.008 ტონა შაქრის ჭარხალი მიაყიდა სამშობლოს და გეგმას 11 ათასი ტონით გადაეჭარბა.

— ჭარხალი ხომ არ „გლალატობს," — კვლავ შეეკითხა იაკობი.

— ამ დალოცვილს არაფერი არ დავაკელი, და რა ღმერთი გაუწყრება, რომ იმედი ჩამეშალოს. სარეკორდო მოსავალს ვაპირებ.

ჩვენს წამოსვლას მარიამმა არც კი დაუცადა. ვიდრე მეტყოდნენ, წელს ქარელის რაიონმა გეგმით 35.430 ტონა შაქრის ჭარხალი უნდა მოიყვანოსო, მარიამი უკვე შრომაში გაერთო.

შაქრის ჭარხლის პლანტაციებიდან გზისკენ მივდიგარო. მუხლებამდე გვწვდება ჭარხლის მწვანე, ხასხასა ფოთი. იაკობი ბევრს მიუბრუნდა, ჭარხლის ფოთლის დაგროვებით დინჯერიდა. თან შეახსენა, ეს ძვირფასი საკვებია და არცერთი ფოთოლი არ უნდა დავკარგოთო.

გზადაგზა თვითსაცლელი მანქანები გვეგდება. ზოგი მძიმედ არის დატვირთული ტკბილი ნაყოფით. ზოგიც დასატვირთად მიეჭარება. მოხსნის, ბრეძის, ამბისის, კეცხეურის, ბრეთის და სხვა კოლმეურნეობათა მინდვრებისკენ. ეს სურათი უფრო მკაფიო მაშინ გახდა, როცა აგარის შაქრის ჭარხლის ბიშდეს ბუნქტში მივედით. აქ ჭარხლის ყვებერთელა მთებია აღმართული. ისმის მანქანებისა და ავტომატური გადმომტვირთავების გუგუნი. ტკბილი ნაყოფით დატვირთულ ავტომანქანას უცვე აიტაცებენ ხოლმე ჰაერში ავტომატურ გადმომტვირთავ მანქანაზე მომუშავენი ოსარ ნემანიშვილი, გიორგი ქურთაული, მისეილ სტეფანოვი, ანზორ ბეროსაშვილი და ოსარ მამიჯანაშვილი, ორი წუთის განმავლობაში იცლება ჭარხლით დატვირთული ორ, სამ და ოთხტონიანი მანქანები.

ბუნკერი, სადაც ჭარხალი იცლება, პირველად ისეთ ხმას გამოსცემს, კაცს ეგონება, სადღაც მეხი გავარდაო. მერე აქედან კონვეიერს გადაკვეს ბორს დიდ სიმაღლეზე და წარმოიშობა ჭარხლის ვეებერთელა მთები. სავარაუდო მონაცემებით წელს ამ პუნქტში მარტო ქარელის, ხაშურისა და ზნაურის რაიონებიდან უნდა შემოიზიდოს 700 ათასი ცენტნერი ტკბილი ნაყოფი, რომელზეც ვინ მოსთვლის რამდენი შრომაა დახარჯული.

შაქრის ჭარხალი ხომ მეტად შრომატევადი კულტურაა. გამოჩნდება თუ არა მიწიდან ორფოთოლა, თითო ღერის ბავშვივით უნდა მოვლა და ყურადღება. მინახავს შაქრის ჭარხლის პლანტაციებში მარგვლის დროს მუხლის ჩოქებზე მოსიარულე ადამიანები, რომლებიც თითებით ეფერებიან თვითეულ ძირს. შემდეგ თოხს მოიმარჯვებენ, შეაქვთ სასუქი, რწყავენ და მერე წარმოიშობა ეს ტკბილი მთები, საიდანაც მზადდება ათასობით ტონა სიტკბო ქარელის მიწისა.

**რ. გასილაშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

**სურათებზე:** მარცხნივ — ახლად ამოღებულ ჭარხალს ამოწმებენ ქარელის რაიონის ქვენატკოცის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი გ. ბუთურიშვილი, რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი კ. შუბითიძე და საქართველოს კპ ქარელის რაიკომის პირველი მდივანი ი. ტოლიაშვილი; მარჯვნივ — ჭარხლის მიღება აგარის შაქრის კომბინატის პუნქტში.

ფოტო **ავტორისა.**

## ნლიური დავალება — სამი თვით ადრე

**წარმატებით** ეგებება კვების მრეწველობის მუშაკთა დღეს სიღნაღის ყველ-კარაქის მთავარი ქარხნის კოლექტივი, რომელმაც სამი თვით ადრე, 1 ოქტომბრისათვის შეასრულა საიუბილეო წლის გეგმა.

— როგორია ამ წარმატების ციფრობრივი მაჩვენებლები? — ასეთი კითხვით მიმართა „კომუნისტის" კორესპონდენტმა ქარხნის დირექტორს **მ. ნადირაძეს** და პარტორგანიზაციის მდივანს **შ. ქაფიანიძეს.**

— წლიური გეგმით გათვალისწინებული 492 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 510 ათასი მანეთის პროდუქცია. ცენტნერებში ეს ასე გამოიხატება: გეგმა 39.700 ცენტნერს ითვალისწინებდა, ჩვენ კი უკვე 39.900 ცენტნერს გადავაჭარბეთ. შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. ქარხანამ 9.200 მანეთი ეკონომია მიიღო, მოგებამ 16.000 მანეთის ნაცვლად 28.000 მანეთი შეადგინა.

**ქარხნის კოლექტივი ამჟამად 1968 წლის ანგარიშში მუშაობს და წლის ბოლოსათვის ათასობით ცენტნერ პროდუქციას გაუგზავნის მომხმარებელს.**

## გეგმის გადამეტებით

**ცხრა** თვის დავალების ვადაზე ადრე შესრულება უპატაჟა რედაქციას აგარის შაქრის კომბინატმა, რომელმაც შაქრის გამოშვების გეგმა ჯერ კიდევ სექტემბრის პირველ ნახევარში შეასრულა. კომბინატის კოლექტივი ოქტომბერშიც წარმატებით შრომობს საიუბილეო ვახტზე და ვალდებულება იკისრა თვის ბოლოსათვის გეგმის ზეგით გაპოუშვას 35 ათასი ცენტნერი შაქრის ფხვნილი.


**კომუნისტი**

მე-2 გვერდი, ოთხშაბათი, 18 ოქტომბერი, 1967 წ

# საერთაშორისო ცხოვრება

## შემდგომი თანამშრომლობის მიზნით

**ამას** წინათ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა ეკონომიური დელეგაციების მოლაპარაკება. მოლაპარაკების შედეგად, რომელიც შეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების საფუძველზე ამ ორი ქვეყნის ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მიზნით 16 ოქტომბერს ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირ-კორეის საქმთავრობათშორისო ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ საკითხთა საკონსულტაციო კომისიის შექმნის შესახებ. (საკდესი).

## ჩამოგდებულია 2.401 თვითმფრინავი

**ჰანოი**, 16 ოქტომბერი. (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის საჰაერო თავდაცვის ნაწილებმა 13 ოქტომბერს კუანგბინის პროვინციაში ჩამოაგდეს ერთი ამერიკული თვითმფრინავი. 14 ოქტომბერს ვიეტნამელმა მეზენიტეებმა თხანჰოის პროვინციასა და ვინლინის რაიონში კიდევ ორი ამერიკული თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, სულ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოგდებულია 2.401 ამერიკული თვითმფრინავი.

# გენერალურ ასამბლეაზე



**ნიუ-იორკი**, 17 ოქტომბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ე. ეგოროვი გვატყობინებს:

გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის შესამე კომიტეტმა (სოციალური, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა კომიტეტი) ერთხმად მოიწონა პროექტი დეკლარაციისა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ. პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.

დეკლარაციის პროექტის პრეამბულაში აღნიშნულია ქალების დიდი წვლილი საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში და ხაზგასმულია ქალების როლი ოჯახში, განსაკუთრებით ბავშვთა აღზრდაში.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ ყველა ქვეყანამ კაობინეთ და ფაქტიურად უხდა ცნოს მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის პრინციპი.

### საბჭოთა კავშირ-ირანის თანამშრომლობა

თეირანი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის გაერთიანებამ „ტეხნოპრომექსპორტმა“ და ირანის ფულის რესურსებისა და ელექტროენერგიის სამინისტრომ თეირანში ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებას და ტექნოლოგიური მოწყობილობის მიწოდებას სასაზღვრო მდინარე არაკსის ჰიდროტექნიკური კომპლექსისთვის.

ჰიდროტექნიკურ კომპლექსში შედის ორი კაშხალი, წყალსაცავი, რომელიც 92 ათას ჰექტარ გვალვიან მიწას მორწყავს ირანის აზერბაიჯანში, და 44 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური.

# ანტიამერიკული დემონსტრაციები თურქეთში

**სტამბოლი**, 16 ოქტომბერი. (საკდესი). ანტიამერიკული გამოსვლები, იმასთან დაკავშირებით, რომ თურქეთის ნავსადგურებში სტამბოლსა და იზმირში შეიყვანენ „ხმელთაშუა ზღვის მეკობრეები“, ასე უწოდებენ აქ ამერიკის მე-6 ფლოტის ხომალდებს, არ წყდებოდა თურქეთის წყლებში მათი ყოფნის მთელი პერიოდის მანძილზე — 7-დან 16 ოქტომბრამდე. სტამბოლში მთი გამოჩენისთანავე სტუდენტებმა მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია. სტამბოლში მოსვლის პირველ დღეს ამერიკელი მეზღვაურები ვერ ვადამოვიდნენ ნაპირზე, ხოლო მე-6 ფლოტის სარდალი ადმირალი მარტინი ძალულებული იყო ოფიციალური ვიზიტებისთვის გადმოსულიყო ხმელეთზე ვერტფრინავის საშუალებით. ამერიკის ხომალდების ვიზიტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად რამდენიმე სტუდენტმა გამოაცხადა შიმშილობა, რომელიც ხომალდების წასვლამდე გაგრძელდა.

დიდი დემონსტრაცია და მიტინგი გაიმართა იზმირში ამერიკული ხომალდების ყოფნის უკანასკნელ დღეს. მიტინგის მონაწილეებმა დიდეს ფიცი გაანგრძონ ბრძოლა, სანამ თურქეთის მიწა-წყალზე დარჩება თუნდაც ერთი ამერიკელი ჯარისკაცი. მიტინგის შემდეგ მათ ჩაიარეს ქალაქის ქუჩებში და ერთხმად გაიძახოდნენ: „იანკებო, წადითრიეთ შინ!“ მათ ქვა დაუშინეს ამერიკულ ავტობუსს და ჩამოალეწინეს ამერიკული ალამი ამერიკის ერთ-ერთი კომპანიის შენობაზე, დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის ზოგჯერ შეტაკებანი, რომლის დროს, როგორც თურქეთის პრესა იუწყება, დაიჭრა 20-მდე კაცი.

გაზეთი „მილიეთი“ განმარტავს შეხედულებას, რომელიც თურქეთში მოუწყვეს ამერიკულ ხომალდებს, და წერს: „ხალხს ეზიზღება, რომ აქ შექმნილ ბაზებს არანაირი კავშირი არა აქვს ერთობლივ თავდაცვასთან, პირიქით, ისინი ამერიკელთა ინტერესებს იცავენ“.

### საფრანგეთის კომპარტიის სენტრალური კომიტეტის პლენუმი

**პარიზი**, 17 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს პარიზის გარეუბან ვიტრიში მუშაობა დაიწყო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

პლენუმის დღის წესრიგშია: საკანონო არჩევნების შედეგები და გაკეთილები (მომხსენებელი საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პლისონიე); პარტიის პოლიტიკური ამოცანები, მისი განმტკიცება და პარტიული ბილეთების გამოცვლა (მომხსენებელი საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჟ. მარშე); ინფორმაცია პარტიის საერთაშორისო საქმიანობის შესახებ (მომხსენებელი საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ვ. როშე).

# გენერალურ ასამბლეაზე

**ნიუ-იორკი**, 17 ოქტომბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ე. ეგოროვი გვატყობინებს:

გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის შესამე კომიტეტმა (სოციალური, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა კომიტეტი) ერთხმად მოიწონა პროექტი დეკლარაციისა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ. პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.

დეკლარაციის პროექტის პრეამბულაში აღნიშნულია ქალების დიდი წვლილი საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში და ხაზგასმულია ქალების როლი ოჯახში, განსაკუთრებით ბავშვთა აღზრდაში.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ ყველა ქვეყანამ კაობინეთ და ფაქტიურად უნდა ცნოს მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის პრინციპი.

### საბჭოთა კავშირ-ირანის თანამშრომლობა

თეირანი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის გაერთიანებამ „ტეხნოპრომექსპორტმა“ და ირანის ფულის რესურსებისა და ელექტროენერგიის სამინისტრომ თეირანში ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებას და ტექნოლოგიური მოწყობილობის მიწოდებას სასაზღვრო მდინარე არაკსის ჰიდროტექნიკური კომპლექსისთვის.

ჰიდროტექნიკურ კომპლექსში შედის ორი კაშხალი, წყალსაცავი, რომელიც 92 ათას ჰექტარ გვალვიან მიწას მორწყავს ირანის აზერბაიჯანში, და 44 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური.

## იორდანიის წარმომადგენლის წერილი

**ნიუ-იორკი**. 17 ოქტომბერი. (საკდესი). იორდანიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მუჰამედ ელ-ფარამ გუშინ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი. წერილი იგი იუწყებდა საბჭოს მიაპყრობს ახალ აგრესიულ აქტებს, რომლებიც ისრაელის საოკუპაციო ჯარებმა ჩაიდინეს, რითაც დაარღვიეს რეზოლუცია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

წერილში ნათქვამია, რომ 14 და 15 ოქტომბერს ისრაელის ჯარებმა ცეცხლი დაუშინეს ხოფელ შეიპ მუჰამედს „შეიპ ჰუსეინის“ ხიდის რაიონში. ამასთან ამ ინციდენტში მონაწილეობდნენ ისრაელის ოცი ტანკი და შეიარაღებული ბატრულები.

ეს იერიშები ისრაელის დანაშაულის ნაწილია, რათა ძირი გამოუთხარონ უშიშროების საბჭოს რეზოლუციებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თავს მოახვიოს ისრაელის პირობები, ხაზგასმულია წერილში.

წერილში აგრეთვე ჩამოთვლილია ხუთი შემთხვევა, როცა ისრაელის ჯარებმა აგწოიკეს მშვიდობიანი მოსახლეობა მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე. ეს მოხდა 25 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე. ისრაელის ტერორის, ხოცვა-ყლეტისა და წამების „კამპანია, ნათქვამია წერილში, ისრაელის იმ გეგმის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს გარეკოს მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის მოსახლეობა და ადგილი გაუთავისუფლოს ისრაელ ახალმოსახლეებს.

იორდანიის მუდმივი წარმომადგენელი ხაზგასმით აღნიშნავს: ისრაელი უგულებელყოფს კანონიერებასა და წესრიგს და არღვევს ჰუმანიზმისა და პატიოსნების ელემენტარულ პრინციპებს, რაც მოითხოვს იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ განახორციელოს გადამჭრელი ღონისძიებანი.

## ახალი შტაბ-გინა

**ბრიუსელი**. 16 ოქტომბერი. (საკდესი). ბრიუსელის გარეუბნაში გაიმართა ნატოს ხელმძღვანელობისათვის შენობათა კომპლექსის გადაცემის ოფიციალური ცერემონია, სადაც დროებით მოთავსდება ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შტაბ-ბინა.

აქ იმუშავებენ პარიზიდან გადმოსული ნატოს საბჭო და მისი მდივანი, აგრეთვე ვაშინგტონიდან გადმოყვანილი ბლოკის ეუდმივი საბჭოდრო კომიტეტი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. ნამსხვრევები ამერიკის თვითმფრინავისა, რომელიც ჰანოის დამცველებმა ჩამოაგდეს. ფოტო ვია-საკდესისა.

# საერთაშორისო ფრიბუნალის კომისიის განცხადება

**ჰანოი**, 16 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა ვიეტნამში ამერიკულ იარაღს უწინარეს ყოვლისა იყენებენ სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ. შეერთებული შტატები ფართოდ იყენებენ შხამინ ქიმიურ ნივთიერებებს და მომწამვლელ გაზს. ეს განაცხადა ბერტრან რასელის საერთაშორისო ტრიბუნალის საგამომძიებო კომისიამ სამხრეთ ვიეტნამის ერთ-ერთ განთავისუფლებულ რაიონში გამართულ ამასწინანდელ პრეს-კონფერენციაზე.

ჩვენი მთავარი ამოცანაა გამოვიძიოთ ამერიკელთა სამხედრო დანაშაულებანი სამხრეთ ვიეტნამში, ნათქვამია პრეს-კონფერენციაზე ამ საკამოძიებო კომისიის განცხადებაში, რომელიც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა.

„ჩვენ გვსურს აქ აღვნიშნოთ, რომ მასპინძლები, რათა უზრუნველეყოთ ჩვენი უშიშროება, გვიჩვენებდნენ შედარებით უსაფრთხო რაიონს.

მაგრამ აქაც ამერიკის თვითმფრინავები ხშირად ესხმიან თავს და ცეცხლს უშენენ ყველაფერს, რაც მოძრაობს დედამიწაზე, გლეხები მხოლოდ ღამ-ღამობით მუშაობენ და დღე იმალებიან თავშესაფრებში. მედესანტეები, რომლებსაც ვერტფრინავებით გზავნიან, მუდმივ საფრთხეს უქმნიან, ხოლო ამერიკის ბაზებში მყოფი ჰაუბიცები მთელი დღეღამის განმავლობაში ესვრიან მათ. ასეთია მდგომარეობა რაიონში, სადაც არ წარმოებს რაიმე დიდი საომარი ოპერაცია“.

შესაძლებლობა გვქონდა, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, რამდენიმე კვირის მანძილზე გვეცხოვრა სამხრეთ ვიეტნამელებთან, რომლებიც წინააღმდეგობის ომს ეწევიან ჯარგად შეიარაღებული მტრის წინააღმდეგ. ახალგაზრდები და ქალები, რომლებსაც დავალებული აქვთ ფრონტის დაცვა, იჩენენ ენთუზიაზმსა და გამძლეობის რწმენას. ვიეტნამელ ხალხს, ნათქვამია დასასრულ საერთაშორისო ტრიბუნალის კომისიის განცხადებაში, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, მთელი სიძნელეების მიუხედავად, განაგრძოს წინააღმდეგობის ომი. მთ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ უფლებისათვის, თვითონ წყვეტდნენ საკუთარ ბედს.

# სოლიდარობის პროგრამა

**ჰანოი**. 17 ოქტომბერი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამში ამას წინათ შექმნილმა ამერიკელ ხალხთან სოლიდარობის კომიტეტმა თავისი მოკმედების პროგრამა გამოაცხადა კომუნიკეში, რომელიც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა სააგენტო „განთავისუფლების“ ცნობის საფუძველზე.

თავის პროგრამაში კომიტეტმა, კერძოდ, დაისახა ამოცანები შექმნას ხელსაყრელი პირობები ვიეტნამელ და ამერიკელ ხალხთა ურთიერთგაგებისათვის, შეერთებული შტატების ყველა იმ პროგრესულ ორგანიზაციასთან და ხალხთან ურთიერთობისა და კონტაქტების დამყარებისათვის, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, სამართლიანობისათვის, თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და მოქალაქეობრივი უფლებებისათვის, ვიეტნამში ომის შეწყვეტისათვის. კომიტეტმა წამოაყენა აგრეთვე ამოცანა გაფართოოს ურთიერთობა ყველა იმ ქვეყნის პროგრესულ ორგანიზაციასთან და ხალხთან, რომლებიც თანაუგრძნობენ და მხარს უჭერენ ვიეტნამელი და ამერიკელი ხალხების სამართლიან ბრძოლას.

# რევოლუციური მზადყოფნა

## კავკასიის გოლშევიკური ორგანიზაციების პირველი სამხარეო ყრილობის 50 წლისთავზე

**ზ**ადის დღეები, წლებს წლები ემატება. ჟამთასვლის ფრიცხველი ითვლის წელთა სიმრავლეს. კიდევ რამდენიმე დღე, და საბჭოთა ქვეყანა 50 წლის გახდება. რევოლუციის ვეტერანებს გუშინდელივით ახსოვთ ყველაფერი ის, რაც ნახევარი საუკუნის წინათ მათი უშუალო მონაწილეობით მოხდა.

დიახ, მხოლოდ ნახევარი საუკუნე გავშორებს იმ დღეებს, როცა ბოლშევიკები მთელი ფრონტით ამზადებდნენ ოქტომბრის რევოლუციას. და ამ დიდ მზადებაში თვიანთი წვლილი შეაქონდათ კავკასიელ ბოლშევიკებს, მათი მოქმედების ნათელი პროგრამა იყო რსდმპ (ბ) VI ყრილობის გადაწყვეტილებანი. კავკასიელი კომუნისტები გულმოდგინედ ამზადებდნენ პოლიტიკურ არენას კაპიტალიზმზე გადამწყვეტი იერიშის მისატანად. მმრმელ კლუთთა ფართო მასებმა გარკვეული იწყეს მობრუნება ბოლშევიკური ლოზუნგებისაკენ, მეიდრად ირაზმებოდა ღარიბი გლეხობა რევოლუციური პროლეტარიატის გარშემო.

ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა პოლიტიკური ჭარბეჩილის მოახლოება. მოგლეზათა ბარომეტრი სოციალისტურ რევოლუციას უჩვენებდა. და სწორედ ამ დროს, 1917 წლის 2 (15) ოქტომბერს ქ. თბილისში შეიკრიბა კავკასიელი ბოლშევიკების პირველი ყრილობა. დელეგატებს შორის იყვნენ ბაკოს პროლეტარიატის წარმომადგენელები — ს. შაუმიანი, გ. სტეფანი, ს. იაკუბოვი, ბ. ძელაძე და კოვრიკინი. ისინი ყრილობაზე მოვიდნენ როგორც გამარჯვებულნი ორგანიზებულ კაპიტალზე საგაფიცვო ბრძოლაში. ამიერკავკასიის დელეგატებს გარდა ყრილობას ესწრებოდნენ ნოეოროსიისკის, ყუბანის, სტავროპოლისა და შავიზღვისპირეთის პარტიული ორგანიზაციების დელეგატები. აქედან 26 დელეგატი იყო გადამწყვეტი ხმით, ხოლო 3 დელეგატი — სათათბირო ხმით.

კავკასიელმა ბოლშევიკებმა თვიანთი პირველი ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ვ. ი. ლენინი. ყრილობის დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. სამანდატო კომისიის მოხსენება; 2. მოხსენება ბოლშევიკების პარტიის VI ყრილობის შესახებ, 3. მოხსენებები ადგილებიდან; 4. მოხსენება დამფუძნებელი კრების შესახებ; 5. მოხსენება პარტიული პრესის შესახებ; 6. მოხსენება ეროვნულ საკითხზე; 7. მოხსენება აგრარულ საკითხზე; 8. მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ; 9. კავკასიის სამხარეო კომიტეტის არჩევნები.

ყრილობის გახსნის მომენტში ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთ ჯარის ნაწილში დაიწყო მღელვარება. ამიტომ ყრილობამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება გაეგზავნა თავის წარმომადგენელი ადგილზე მდგომარეობის გასარკვევად. წავიდნენ ყრილობის დელეგატები ყორღანოვი, გალოკია და მიშჩენკო. მათ დაარწმუნეს შემდეგ მოახსენეს ყრილობას, რომ ჯარის ნაწილში მხარს უჭერენ ბოლშევიკურ ლოზუნგებს და წარმატებას უსურვებენ ყრილობის მუშაობას.

დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ს. ქავთარაძის მოხსენება პარტიის VI ყრილობის შესახებ. მოხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა VI ყრილობის მიერ მიღებულ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებაზე და განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მთავარზე — პროლეტარიატისა და უდარიბესი გლეხობის მომზადებაზე შეიარაღებული აჯანყებისათვის. ამასთან მომხსენებელი ხაზს უსვამდა მომენტის თავისებურებას და აღნიშნავდა, რომ კომუნისტური პარტიის გაგლენა რუსეთში არაჩვეულებრივად გაიზარდა. დაიწყო საბჭოების ბოლშევიზაცია, მათი გამოცოცხლებისა და განახლების პერიოდი. კომუნისტებმა უმრავლესობა მიიღეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადისა და მოსკოვის საბჭოებში.

რევოლუციური აღმავლობის განსაკუთრებულ ზრდაზე მენშევიკებისა და ესერების კონტრრევოლუციური პოლიტიკის სრულ გაკოტრებაზე მიუთითებდნენ დელეგატები თავიანთ მოხსენებებში აღებულებიდან.

5 ოქტომბერს ყრილობამ მოისმინა მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ. მომხსენებელი იყო რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი ს. შაუმიანი. მეზნებარე რევოლუციონერის ოპტიმიზმით აღსავსე სიტყვები სწვდებოდა თვითეული დელეგატის გულსა და გონებას. ამიერკავკასიის და მთელი რუსეთის ცხოვრების მაგალითებიდან აღებული მასალები აძლევდა მოხსენებას არგუმენტაციის ძალას და სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის ცალკეული საკითხების ნათელ გადმოცემას: მომხსენებელმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი იმას, რომ რევოლუციის მზვიდობიანი განვითარების პერიოდი დამთავრდა 3-5 იულისის ამბების შემდეგ, რომ ახლა — ძალაუფლება მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღებული აჯანყებით უნდა იქნას მოპოვებული.

ყრილობის მონაწილეებმა ყოველმხრივ განიხილეს მიმდინარე მომენტი, აწონდაწონეს რევოლუციურ ძალთა შესაძლებლობანი და რეზოლუციაში ასე ჩაწერეს: „რსდმპ (ბოლშევიკების) კავკასიის ორგანიზაციების პირველი ყრილობა აცხადებს, რომ მუშათა კლასი, ჯარისკაცები და გლეხები არავითარ ნდობას და არავითარ მხარდაჭერას არ გაუწევენ წერეთლისა და კომპანიის ხელით შეთითხნილ კერენსკი-ჟორნილოვის კონტრრევოლუციურ, ანტიხალხურ მთავრობას. რევოლუციის მორიგ ამოცანად ჩვენ, სავსებით ვეთანხმებით რა პარტიის ცკ-ს, მიგვაჩნია მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის მოწვევა, რომელმაც ხელთ უნდა აიღოს მთელი სახელმწიფო ძალაუფლება... მუშათა კლასი, ჯარისკაცები, გლეხობის რევოლუციური წარმომადგენლები არ უნდა შეუშინდნენ სინდისელებსა და მსხვერპლს და გაბედულად უნდა წავიდნენ წინ ძალაუფლების მოსაპოვებლად“.

ყრილობაზე ერთ-ერთი მწვავე კამათი გაიმართა ეროვნულ საკითხზე (მომხსენებელი მ. ტოროშელიძე). დელეგატების ერთ ნაწილს ჯერ კიდევ არასწორი წარმოდგენა ჰქონდა კავკასიაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტაზე. მიუხედავად ცხარე პოლემიკისა, ყრილობამ მიიღო სწორი რეზოლუცია, რომელიც გამომდინარეობდა პარტიის პროგრამისა და VII (აპრილის) პარტიული კონფერენციის სახელმძღვანელო დებულებებიდან. ყრილობამ დაგმო ეროვნული მოძრაობის ეროვნული პოლიტიკა და მოუწოდა მეზობელ ეროვნებებს, ერთიანად ებრძოლნენ ეროვნული რევოლუციისათვის ბრძოლაში ინტერნაციონალური სოლიდარობისაკენ. ყრილობამ გამოთქვა აზრი კავკასიაში ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის შემოღების სასარგებლოდ.

რევოლუციური აღმავლობის ინტერესები სულ უფრო სწევდა წინა პლანზე აგრარული საკითხების სწორად გადაწყვეტის საკმეს. ამიტომაც რევოლუციის ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი ყოველმხრივ განხილულ იქნა კავკასიელი ბოლშევიკების ყრილობაზე. მომხსენებელი ამ საკითხზე იყო ფ. მახარაძე. „ჩვენ, — განაცხადა მან, — ვდგევართ ამ რეზოლუციის თვალსაზრისზე, რომელიც აგრარული საკითხის შესახებ მიიღო ჩვენმა პარტიულმა კონფერენციამ აპრილში“. და, მართლაც, მთელმა ყრილობამ მიიღო რსდმპ (ბ) VII (აპრილის) კონფერენციის დადგენილებიდან გამომდინარე რეზოლუცია. ყრილობამ ერთხმად მოითხოვა სახელმწიფოში არსებული ყველა მიწების ნაციონალიზაცია და მათი გადაცემა ხალხის ხელში. ყრილობამ მოუწოდა დაუყოვნებლივ ყველგან შეექმნათ გლეხთა საბჭოები ან კომიტეტები მთელი მიწების ხელში ჩასაგდებად, სანამშენო მეურნეობების მოსაწყობად.

ყრილობის რეზოლუციას აგრარული საკითხის გარშემო უდიდესი რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა. მან მძლავრი ბიძგი მისცა გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს მთელ ამიერკავკასიაში და კიდევ უფრო განამტკიცა პროლეტარიატისა და გლეხობის საბრძოლო კავშირი კარს მომდგარი სოციალისტური რევოლუციის წინ.

ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ბოლშევიკები ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ არმიის ნაწილებში პოლიტიკურ მუშაობას. ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სწორედ მაშინ, როცა რევოლუციის მზვიდობიანი პერიოდი დამთავრდა და დღის წესრიგში დადგა ხიშტი. სწორედ ჯარისკაცების რევოლუციურ შეგნებულობაზე, თუ რამდენად დროულად მიმართავდნენ ისინი თავიანთ ხიშტებს კაპიტალისტებისა და მათ დაქირავებულ ხელისუფალთა წინააღმდეგ, ბევრად იყო დამოკიდებული სოციალისტური რევოლუციის ბედი. არჩიაში მუშაობის საკითხზე მოხსენებით გამოვიდა გ. ყორღანოვი. მან აღნიშნა, რომ ჯარისკაცთა გაწყობილებაში მოხდა ძლიერი გარდატეხა, რომ ისინი მასობრივად ტოვებენ მენშევიკებისა და ესერების პარტიების რიგებს, მტკიცედ აყენებენ და მზარს უჭერენ ბოლშევიკურ მოთხოვნებს. ამასთან მომხსენებელმა ფაქტიური მასალებით ამხილა კავკასიის არმიის მეთაურთა შემადგენლობის კონტრრევოლუციურობა, მათი თანამოაზრეობა კადეტურ ბურჟუაზიულ პარტიებთან. ამიტომაც ასეთი მეთაურობა სდევნიდნენ ბოლშევიკებს არმიიდან და კრძალავდნენ ბოლშევიკურ გაზეთებს.

ამ საკითხზე ყრილობამ მოისმინა აგრეთვე საამხედრო ორგანიზაციების დელეგატთა გამოსვლები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. მასში ნათქვამია იყო, რომ კავკასიის არმიის სამხარეო საბჭომ დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები, რათა შეწყდეს ბოლშევიკებისა და მათი პრესის დევნა, კერძოდ, დაუყოვნებლივ გაუქმდეს გაზეთი „კავკასსკი რაბოჩი“ აკრძალება. მოითხოვა აგრეთვე კავკასიის არმიის დეპუტატთა მეორე ყრილობის მოწვევის დაჩქარება.

ყრილობამ მხარი დაუჭირა წინადადებას რსდმპ (ბ) სამხარეო კომიტეტთან სამხედრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ და დაამტკიცა მისი ბიუროს შემადგენლობა. აქვე მიღებულ იქნა სამხედრო პოლიტიკური ორგანიზაციების წესდების პროექტი. 1917 წლის 22 ოქტომბრისათვის დანიშნულ იქნა კომუნისტური სამხედრო ორგანიზაციების სამხარეო ყრილობა.

**სანტერესო** დეტალი. კავკასიის ბოლშევიკების ყრილობის პარალელურად მიმდინარეობდა აგრეთვე მენშევიკების ყრილობა. მათ ბოლშევიკებს წინადადებით მიმართეს ორგანიზაციულად გაერთიანებულიყვნენ. ეს იყო აშკარა პოლიტიკური ფანდი. მაგრამ ბოლშევიკებმა მენშევიკების ეს წინადადება უუარყვეს. ყრილობაზე ამ საკითხის განხილვა გადაიქცა მენშევიკების ოპორტუნიზმისა და შემთანხმებლური პოლიტიკის სამსჯავროდ. ტრიბუნაზე მენშევიკების მკაცრ ბრალმდებლად გამოვიდნენ ს. ქაუთარაძე, ფ. მახარაძე და სხვები.

ყრილობამ პარტიული მუშაობის კოორდინირების გაუმჯობესების მიზნით აირჩია ერთიანი ცენტრი მთელი კავკასიისათვის. რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ ს. შაუმიანი, პ. ჯაფარიძე, ი. ფიოლეტოვი, ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, ს. ქავთარაძე, ა. ჩრაგიანი, მ. ორახელაშვილი, გ. ყორღანოვი და სხვ. ცოტა გვიან კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ ა. მიქოიანი, ა. ნაზარეტიანი, ლ. ლოლობერიძე, ვ. ნანეიშვილი, ს. კასიანი. კავკასიაში ერთიანი ბოლშევიკური ცენტრის შექმნას მაშინვე დადებითად გამოეხმაურა გაზეთი „პრავდა“.

დასასრულ, ყრილობამ ბოლოთბილი სიტყვებით აღსავსე მისალმება გაუგზავნა ვ. ი. ლენინს. მისალმებაში ნათქვამი იყო: „სოც. დემ. ბოლშევიკების კავკ. ორგანიზაციის პირველი ყრილობა, ამთავრებს რა მუშაობას, მსურვალე სალამს უძღვნის რუსეთის რევოლუციის სახელოვან ბელადს, III ინტერნაციონალის საუკეთესო წარმომადგენელს, უაღრესად ენერგიულ მებრძოლს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის.

ყრილობა მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ რუსეთის მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა უანლოს მომავალში თავიანთი ახალი რევოლუციით მოიმორგებენ მილიუკოვების, მათი ლაქია კერენსკების უღელს და შესაძლებლობას მიუქმნიან ამხ. ლენინს გამოვიდეს იატაკქვეშეთიდან და ამკვრად დაიკავოს თავისი პოსტი ჩვენი პარტიის ბელადისა, რუსეთის დიდი რევოლუციის ბელადისა“.

რამდენიმე დღეში სინამდვილედ იქცა კავკასიელ ბოლშევიკთა წინასწარხედვა. რევოლუციის ბელადმა ვ. ი. ლენინმა მტკიცედ დაიკავა თავისი პოსტი. ისტორიის ლოკომოტივი ნევის ნაპირზე იდგა. მის საჭესთან ლენინის გვერდით კავკასიელი ბოლშევიკებიც იყვნენ.

**გ. ნაჭყებია.**

# უკვლავი გმირობა

**ბერლინი**. 16 ოქტომბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა ფართოდ აშუქებს ვოლგოგრადში გამართულ ზეიმს, რომელიც სტალინგრადის ბრძოლის გმირთა ძეგლ-ანსამბლის გახსნას მიეძღვნა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა საბჭოთა კავშირის თავდაცვა იყოს უძლეველი, წერს დღეს გზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“. დაე მეორე მსოფლიო ომი იყოს უკანასკნელი მსოფლიო ომი, ხაზს უსვამს გაზეთი ლ. ი. ბრეჟნევის ამ სიტყვებს. გაზეთი გამოჰყოფს აგრეთვე სიტყვის იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკია ვოლგის ქალაქის დამცველთა უკვდავი გმირობის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ.

**ბელგრადი**. 16 ოქტომბერი (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, რომელიც წარმომქვა სტალინგრადის ბრძოლის გმირთა ძეგლ-ანსამბლის გახსნის გამო ზეიმზე, იუგოსლავიის პრესის ყურადღების ცენტრშია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა, წერს „პოლიტიკა“, განაცხადა: სსრ კავშირს სურს, რომ ახლანდელი მშვიდობიანი დრო არ გახდეს ინტერვალი ორ ომს შუა. გაზეთი აგრეთვე გამოჰყოფს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ დაე მეორე მსოფლიო ომი იყოს უკანასკნელი მსოფლიო ომი. „ბორბა“ დაწერილებით აღწერს დიდებულ მონუმენტს. იუწყება რა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესახებ, ეს გაზეთი გამოჰყოფს მის სიტყვებს: „დაე მეორე მსოფლიო ომი იყოს უკანასკნელი მსოფლიო ომი“.

**პრაღა**. 16 ოქტომბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ყველა გაზეთი პირველ გვერდზე დიდი სათაურებით იუწყება, რომ მაშას ყორღანზე გაიხსნა სტალინგრადის ბრძოლის გმირთა ძეგლი-ანსამბლი და რომ ვოლგოგრადში ამის გამო გაიმართა მიტინგი.

აუწერებენ რა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას მიტინგზე, გაზეთები წერენ, კერძოდ, რომ სტალინგრადის ბრძოლა იყო შემობრუნების პუნქტი, რომელმაც გადაწყვიტა ომის ბედი.

„რუდე პრავო“ გამოჰყოფს ლ. ი. ბრეჟნევის განცხადების იმ 



სულ მალე საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს იზეიმებს ჩვენი ხალხი, იზეიმებს როგორც დიდ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს, სიკეთის მიერ ბოროტის ძლევის, თავისუფლების მიერ ჩაგვრა-მონობის დამხობის, შრომის, მეგობრობის, მშვიდობის გამარჯვების დიდ დღესასწაულს.

მაღალჰუმანური კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა პირველ რიგებში ყოველთვის იყო და დღესაც არის სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობა. მამა-პაპათა დიდ ტრადიციებს რომ აგრძელებენ, ჩვენი ახალგაზრდა მუშები და კოლმეურნეები, ექიმები და მასწავლებლები, მეცნიერები და მწერლები, მსახიობები და მხატვრები, მუსიკოსები და სხვანი მთელი ახალგაზრდული გატაცებით და ენთუზიაზმით ქმნიან ახალ ყოფა-ცხოვრებას, იღწვიან კეთილის დამკვიდრებისათვის, შრომობენ ხალხის სახელით, სახალხო საქმის გამარჯვებისათვის.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების დღევანდელ ეტაპზე უაღრესად მნიშვნელოვანი და საგულისხმოა ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის წვლილი. უკანასკნელ წლებში მრავალმა ახალგაზრდა შემოქმედმა ასახელა მშობლიური ხალხი და კულტურა საერთაშორისო ფესტივალებსა და კონკურსებზე, გამოფენებსა და დათვალიერებებზე, სამეცნიერო კონგრესებსა და კონფერენციებზე.

ამ დღეებში სახელმწიფო სურათების გალერიაში მოწყობილ საქართველოს მხატვართა ნამუშევრების სამშობლოგომო-საიუბილეო გამოფენაზე სახვითი ხელოვნების სახელმოსვეჭილ ოსტატებთან ერთად მნახველთა დიდ ინტერესს იწვევდა ახალგაზრდა ოსტატთა შემოქმედება. დღეს „კომუნისტის“ მკითხველებს ვთავაზობთ ამ გამოფენის ორ საინტერესო ექსპონატს, ორი ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრის საყურადღებო ნამუშევარს. ერთი მათგანი „მიწა ქარშელი“ (მარცხნივ) რესპუბლიკის დამსახურებულ მხატვარს ჯ. მახარაძეს ეკუთვნის, ხოლო მეორის — „ჰაშნიკი“ ავტორია რ. კეპჰალმაძე.

## სესია ვანში

დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავს მიეძღვნა ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მესამე სამეცნიერო სესია, რომელიც ამ დღეებში სარაიონო კულტურის სახლში გაიმართა. სესიაზე წაკითხულ იქნა მოხსენებები: „ვანის რაიონის მშრომელები XXIII ყრილობის ისტორიულ დადგენილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში“; „ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ვანში“; „ვანის რაიონის მშრომელები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში“, „ვანის ღირსშესანიშნავი ადგილები და ისტორიული ძეგლები“; მოხსენებებით გამოვიდნენ: საქ. კპ ვანის რაიკომის პირველი მდივანი გ. ყიფიანი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ოთ. ლორთქიფანიძე და სხვ.

სესიაში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა დ. კაპანაძემ, თ. ყაუხჩიშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა გ. მელიქიშვილმა.

ტ. კალაძე.

# ფავორიტი ასპახელებს ფავორიტებს

ტუნისი. 17 ოქტომბერი. (საკუდესი). მთავარ ფავორიტთა გამარჯვებით აღინიშნა საზონათაშორისო საჭადრაკო ტურნირის პირველი ტური, რომელიც დაიწყო ხმელთაშუა ზღვის ქალაქ კორორტ სუსაში. ვ. კორჩნოიმ მოუგო ლ. კოვალჩუს (ჩეხოსლოვაკია), ა. ვიპსლიესმა — მ. კუელარს (ესპანეთი). რ. ფიშერმა (ამერიკის შეერთებული შტატები) დაამარცხა უნგარელი პ. ბარეა, ს. რეშევსკიმ (ამერიკის შეერთებული შტატები) — ლ. მიაგმარსურენი (მონღოლეთის სახალხო რეპუბლიკა), იუგოსლავმა გროსმაისტერმა ბ. ივკოვმა და ს. ბლიგორიჩმა — შესაბამისად ს. ბუზიზი (ტუნისი) და დ. სატლი (კანადა).

ყაიმით დამთავრდა ვ. ბორტ (ჩეხოსლოვაკია)-ი. ბილეკის (უნგრეთი) და რ. ბირნ (ამერიკის შეერთებული შტატები)-ლ. პორტიშის (უნგრეთი) ორთაბრძოლები. ლ. შტეინ-ხ. ბოლბოჩანის (არგენტინა) პარტია არ გათამამებულა, რადგან არგენტინელი ჯერ კიდევ არ ჩამოსულა ტუნისში, დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

იუგოსლავი გროსმაისტერი ა. მატანოვიჩი უგებს ახალგაზრდა ბრაზილიელ ე. მეკინგს, ხოლო მისმა თანამემამულემ მ. მატულოვიჩმა თანბარ პოზიციაში გადადო პარტია ბ. ლარსენთან (დანია). არ დამთავრებულა ე. გელერ-ო. სარაპუს (ახალი ზელანდია) შეხვედრა.

17 ოქტომბერს დილით მოხდა გადადებული პარტიების დამთავრება, საღამოს კი მეორე ტურია.

საკდესის კორესპონდენტმა სთხოვა დანიელ გროსმაისტერ ბ. ლარსენს ეპასუხა რამდენიმე შეკითხვაზე.

— ვინ მიგაჩნიათ ტურნირის ფავორიტებად?

— ჩემი აზრით, საუკეთესო ექსპერტში შევლენ კორჩნოი, შტეინი, გელერი, ფიშერი, პორტიში და ... ლარსენი. მათ სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ ივკოვი, გლიგორიჩი, გუბლისი და მატულოვიჩი.

— თქვენი აზრით, ვინ გაიმარჯვებს ტურნირში?

წელს კარგად თამაშობს შტეინი, ჩინებული შედეგები აქვს ფიშერს, და მეც პირველი ადგილის იმედი მაქვს. მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ ტურნირში გამარჯვება წმიდა ფსიქოლოგიური ცნებაა, რადგან ტურნირის მონაწილეთა მთავარი მიზანია სანუკვარ ექსტულში მოხვედრა.

— თქვენი აზრით, როგორ წარიმართება ბრძოლა?

— ვფიქრობ, რომ ექვსი ადგილის პრეტენდენტები არ გაამწვავებენ თამაშს ერთმანეთს შორის შეხვედრების დროს. ვფიქრობ, მათ ყაიმიც აძლევთ ხელს. ეგარაუდობ, რომ ფიშერი და შე საბჭოთა გროსმაისტერებთან შეხვედრაში მოვაგროვებთ ქულათა 50 პროცენტს. განზრახული მაქვს ვითამაშო იმისდამიხედვით, თუ როგორი მდგომარეობა შექმნება ტურნირში. თუ კარგი, არ გავრისკავ.

— თქვენი მომავალი გეგმები?

— მინდა გავხდე მსოფლიოს ჩემპიონი...

# ორი ლიდერი

**კაუნასში** რამდენიმე დღეა გრძელდება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების ფინალური ტურნირი ხელბურთში.

მთავარი ბრძოლა ოქროს მედლებისათვის მიმდინარეობს გასული წლის ჩემპიონის მოსკოვის „კუნცევოსა“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდებს შორის.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მესამე ტურის მატჩებს, რომლებიც 16 ოქტომბერს შედგა. ფინალში პირველი გამარჯვება იზეიმა „კუნცევომ“. მესამე ტურში მან დაამარცხა რიგის „დაუგავა“ 20:15. ლვოვის არმიის სასპორტო კლუბის ხელბურთელებმა მოუგეს მინსკის „პოლიტექნიკს“ 19:16.

ყურადღების ცენტრში იდგა თბილისის „ბურევესტნიკისა“ და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდების შეხვედრა. დასაწყისი თბილისელებს კარგს არაფერს უქადდა. სტუდენტები დაწინაურდნენ 5 ბურთით 9:4. მართალია, შემდეგ „ბურევესტნიკმა“ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ ტაიმი მაინც წააგო 13:14.

მეორე ნახევარში თბილისელებმა შეძლეს არა მარტო წონასწორობის აღდგენა, არამედ დაწინაურებაც. თამაშის დამთავრებამდე ორნახევარი წუთით ადრე ანგარიში იყო 21:20 „ბურევესტნიკის“ სასარგებლოდ, მაგრამ უკანასკნელ წამებში მოსკოველებმა თავე დაიწყეს დამარცხებას. მატჩი დამთავრდა ფრედ — 21:21.

ჩემპიონატს ორი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან თბილისის „ბურევესტნიკისა“ და მოსკოვის „კუნცევოს“ გუნდები, რომლებსაც 23-23 ქულა აქვთ.

## მომხიბვლელი, გრაციოზული

**კიევში** ორ დღეს გრძელდებოდა სეზონის ერთ-ერთი მიმზიდველი ასპარეზობა — სსრ კავშირის თასის გათამაშება მხატვრულ ტანვარჯიშში.

სტარტზე გამოვიდა 30 სპორტსმენი. საერთო აღიარება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონის კიეველი ლ. პარადიევას გამოსვლამ. მან საკალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშით 38,6 ქულა შეაგროვა და სსრ კავშირის თასი მოიპოვა. ასპარეზობა მიმდინარეობდა მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით, რომელიც ნორმებერში გაიმართება დანიაში.

## დუბლიორთა შეხვედრა

**გუშინ** შედგა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების დუბლიორთა საკავშირო ტურნირის მატჩები ფეხბურთში.

თბილისში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსა“ და ალმა-ატის „კაირატის“ სათადარიგო მოთამაშეები. წარმატება სტუმრებს ხვდათ ანგარიშით 2:1.

# ოდღიანი „დასვენება“

**წერილი რედაქციას**

### შაბათ-კვირას ვინც შინ დარჩა

ვაჟა-შუამეჯლას პროსპექტზე, მე-2 ექვსე კვარტალში, მე-16 კორპუსში ვცხოვრობთ. თვალის ერთი გადავლებით ჩვენი კვარტალი სანიმუშოა. კარგი და ლამაზი შენობები თავისებურად არის განლაგებული. კვარტალის შუაში კი სპორტული მოედნებია (ფეხბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის, ფრენბურთის) მოწყობილი. აქვეა ბავშვთა კულტურული გართობისა და დასვენების მოედნები. ყოველივე ამას ამშვენებს საკონცერტო ნიჟარა ხის გრძელი სკამებით.

ეს ყველაფერი კარგი და სასიამოვნოა, მაგრამ ამ გარეგნული სილამაზის მიღმა ბევრი ნაკლი იმალება.

ეს ნაკლოვანებები კარგა ხანია არის, მაგრამ ორდღიანი დასვენების დროს უფრო თვალსაჩინო და შესამჩნევი გახდა.

ჩვენ გვინდა მოგითხროთ იმის შესახებ, თუ როგორ „დავიასვენეთ“ შაბათ-კვირას შინდარჩენილებმა.

დილის ხუთი საათია, სადაც არის ირიკლიებს. მაგრამ წესიერად გათენებას განა გვაცლიან? ჩვენს წინ, სულ 50 მეტრის მაშორებით, მესამე კორპუსის პირველ სართულში № 174 საფუნთუშე მაღაზიაა, რომელსაც ბუერით შეექცევი ბურის ქარხანა ამარაგებს.

...და აი უთენია იწყება ალიაქოთი „დასვენება“. ორი, ხან კი სამი მანქანა მოადგება მაღაზიას და იწყება ბურის გადმოტვირთვა. მძღოლებისა და მაღაზიის მუშაკების ყვირილი ზოგჯერ გვაღვიძებს, ზოგჯერ კი ვერა, მაგრამ როდესაც ბურს მაღაზიაში დაამანებენენ ხან ერთ და ხან სამ-ოთხ კორპუსთან გრძელდება. ზარის რეკვაზე იწყება ნაგვის სავსე თუნუქების კასრებიან მცხოვრებთა მარში კიბეებზე. ნაგავი კი გადავარეთ, მაგრამ მშვდობით, ტკბილო ძილო, ვერავითარი ტაბლეტებით ვეღარ დავიძინებთ.

დაღლილ-დაქანცულნი ვდგებით. სუფთა პაერზე გამოვდივართ, მაგრამ არც აქ არის მოსვენება. რვასართულიანი სახლების სანაგვე მილებთან ღია ძარიანი მანქანა „ნა-00 კრეკ“ მიუყენებიათ და ნაგავს ყრიან... ნახევარს მანქანაში, ნახევარი კი ქარს მიაქვს და მთელი კვარტალი მოპარკინი ქაღალდებითა და ნაგვით იფარება.

უფრო ამაღელვებელი კი წინ არის. შაბათი ახლა ხომ დასვენების დღეა! მაშ რატომ გაგვიწყვიტეს ცხელი წყალი? მთელი კვირის განმავლობაში ერთ-ორ დღეს (მხოლოდ დილით და ზოგან ღამით) მოდის, დასვენების დღეს კი სულ გაწყვიტეს. პირის დაბანა ზოგნაგი, მაგრამ არც ცივი წყალი გაიმეტეს. (და საერთოდ ცივი და ცხელი წყალი მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე სართულებზე იშვიათი სტუმარია). ღამით პირველ საათზე, რიცა მოვა ცხელი წყალი, ვიღვიძებთ, ვაღვიძებთ ბავშვებს, რომ ვიბანაოთ. ხშირად კი გასაბანულიც ვრჩებით. ეს არის მომსახურება? ფუოს კი ბვანდეკინებენ. რატომ? სიმართლე უნდა ითქვას ჩვენც მივმართეთ შინაური „საბოტაჟის“ მეთოდს — რამდენიმე თვის კომუნალური გადასახადი არ გადავიხადეთ. მაგრამ ვერც ამან უშველა, ჩვენვე დავიხარჯეთ, სამი-ოთხი თვის გადასახადის ერთად გადახდა მოგვიხდა.

**ბ**უადღმა. წვიმის შემდეგ გამოდადარა. ბავშვები ეზოში ჩავეყვანეთ. ორ წუთს თვალი მოვაცილეთ, და რას ხედავთ — ზოგი ეზოთუთმეტე კორპუსის წინ, ზოგი ეზოთექვსმეტე, ზოგიც პირველ კორპუსებს წინ ამონგრეული ასფალტის დიდ ორმოებში ჩამდგარ წუმპეებში ითხიპნებიან. გულს შემოგვეყარა, მაგრამ რა!.. საინტერესო ის არის, რომ ამ ამბავს გულდამშვიდებით უცქერიან № 73 სახლმართველობის მუშაკები — ამონგრეული ასფალტის დაგება ჩვენი მოვალეობა არ არისო.

დაწყვეტილი ნერგების დალაგებას საღამითი ვეცდილობთ. იქნებ ტელეგეზრამა დაგვამშვიდოს, მაგრამ ელექტროგანათება მისამე დღეა არ არის. ეს ვაცნობეთ თელასის ორჯონიკიძის რაიონის განყოფილებას. მორიგეები გვამშვიდებენ — მონტიორები წასული არიან და აკეთებენონ. სიცოცხეს მოკლე ფეხები აქვსო. ეიდვე დავრეკეთ. ეიგივე გვიპასუხეს. ამრიგად, ერთ კვირას ბნელში ვიჯაკეთ.

გვინდა ნერგები დავიწყნაროთ და ჩვეულებრივზე ადრე ვწვებით. ჩაგვიძინა, მაგრამ ღამის პირველ საათზე გვეღვიძება. ზედ ჩვენი სახლის კედელთან მდგარი ნასვამი კაცები იგინებიან, ყვირიან, წასვლას კი არ ფიქრობენ. საქმე ის არის, რომ ჩვენი სახლის უკანა კორპუსებში მცხოვრებლებმა ვაჟა-შუამეჯლას პროსპექტზე ტრანსპორტის გაჩერებისაკენ თვითნებურად თითო მეტრის სიგანის ასფალტის ბილიკები ჩვენი კორპუსის კედლის ძირას საწვიმარ ბილიკებს მარჯვნივაც შეუერთეს და მარცხნივაც. მის შემდეგ მთელ ღამეს მოსვენება დაგვაკარეთ დაგვიანებული, ნასვამი მეზობლებისაგან. ამასაც თვალს არიდებენ სასმამართველობის მუშაკები — რა ვქნა, იარაღით ხომ ვერ ვუდარაჯებო. როცა ამ ბილიკებს თვითნებურად აკეთებდნენ, სახლმმართველობის მუშაკებმა წაუყრეს, და კვარტალის ეზოების არქიტექტურა დარღვა.

საეროდ ეს ყველაფერი 73-ე სახლმმართველობის მუშაკებს და პირველ რიგში თვით სახლმმართველ ნ. ნათენაძეს სულაც არ აწუხებს. ყოველთვის ერთსა და იმავეს იმეორებს — ეზოებში ამოტეხილი ასფალტის დაგება ჩვენ არ გვეხება, ელექტროგანათება ჩვენ არ გვეხება, შუადამეზე პარის მაღაზიასთან აურზაური რომ არის, ჩვენ არ გვეხებიან. ცივსა და ცხელ წყალს დასვენების დღეებში რომ შეგვიწყვეტენ ხოლმე, არც ეს ეხებათ? აი მშრომელთა ნორმალურ დასვენებაზე ზრუნვაც ამას ჰქვია!

ასეთი იყო ჩვენი „დასვენების“ დღე შაბათს. შაბათისაგან არც კვირადღე განსხვავდებოდა, (ასეა ხშირად), და იოლი წარმოსადგენია, ორ ღამეს ნაწამები, დაწყვეტილი ნერვებით რა ხასიათზე წავიდოდით სამსახურში ორშაბათს! მაგრამ შინაური ამბავს ჩვენი სამსახურის შეგობრებს ვუყვებით ხოლმე და ამითაც ვიქარვებთ გულს. ზოგს ეცინება, მაგრამ ახლა ჩვენს გულშიც ჩაისედონ!

მოგვეხედეთ. წესიერად დაგვაკვირდეთ. ეს წვრილმანები არ არის როგორც ჩვენი სახლმმართველობის მუშაკებს ჰგონიათ.

ჟ. თბილისში, ვაჟა-შუამეჯლას პროსპექტზე, მე-6 კვარტალის მე-16 კორპუსის მცხოვრებთა დაპალეობით:

ბ. ცქირია — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; მ. ბოგუშაძე — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ანალიზური ქიმიის კათედრის ასისტენტი, ბ. ბერეზაშვილი — სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ასპირანტი, ა. მურადაშვილი — ლენინის ორდენოსანი პედაგოგი, პერსონალური პენსიონერი, ო. ლაბაძე — გამომცემლობა „განათლების“ რედაქტორი, ვ. ბეიორბაძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფროსი აგრონომი.

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА
საუბარი „ლიტერატურნაია გაზეტას“ მთავარ რედაქტორთან
ა. ბ. ჩაკოვსკისთან

# თქვენთვის, მეგობრებო!

ძვირფასო მეგობრებო!

განვლილი წლის მანძილზე ახალი, 16-გვერდიანი ყოველკვირეული „ლიტერატურნაია გაზეტა“ მუშაობა კოლექტივი ცდილობდა დაეკმაყოფილებინა თქვენი სულიერი მოთხოვნილებანი და გაეხადა „ლიტერატურნაია გაზეტა“ თქვენი სახლის მეგობრად, თქვენი ოჯახის ყოველკვირეულ სტუმრად.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მჭიდრო კავშირი გვქონდა მკითხველებთან, ვიღებდით უამრავ წერილებს, სურვილებს და ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში, ნომრიდან ნომერში, ვცდილობდით აგვესახა გაზეთის ფურცლებზე ის, რასაც გვთხოვდნენ ჩვენი გაზეთის მრავალრიცხოვანი მეგობრები.

ჩვენთვის ძნელია განვსაჯოთ, რამდენად შევძელით ეს. ვფიქრობთ, რომ ბევრი რამ კიდევ ვერ შევძელით. მაგრამ 1967 წელს ხელმოწერის მნიშვნელოვანი გადიდება წინა წლებთან შედარებით და მკითხველთა, სამამულო, აგრეთვე საზღვარგარეთის პრესის დადებითი გამომძახილები საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ „ლიტერატურნაია გაზეტას“ რეორგანიზაციამ თავისი დანიშნულება გაამართლა.

უკვე 1967 წლის დასაწყისში ჩვენ მოგვიხდა არსებითად გაგვიდიდებინა გაზეთის ტერაჟი, და მიუხედავად ამისა ცალობით იგი 1,5-ჯ საათის განმავლობაში ეყიდება.

რედაქციაში მოგვდის ბევრი წერილი, რომლებშიც გვთხოვენ გავადიდოთ საცალო გაყიდვა. ამასთან დაკავშირებით გვინდა ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს, რომ შესაძლებლობა არა გვაქვს კიდევ უფრო გავადიდოთ საცალო გაყიდვა, და, ამრიგად, მკითხველები მხოლოდ იმ პირობით შეძლებენ უზრუნველყოფილ იქნან გაზეთით, თუ ხელს მოაწერენ.

**რას გთავაზობთ ჩვენს მკითხველებს მოგავალ წელს?**

გასაშუქებელი საკითხების წრე ძირითადად წინანდელი რჩება, რაც თქვენთვის ჩვეული და, ვიმედოვნებთ, თქვენი ინტერესების შესაბამისი გახდა. იგი ხომ იქმნება არა მარტო რედაქციის „ნებით“, არამედ თქვენი რჩევითა და წინადადებებითაც. რედაქციის ლონისძიებანი მიმართული იქნება იქითკენ, რომ პრობლემები, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი გაზეთის სახეს, პროფილს, შუქდებოდეს უფრო სრულად, უფრო ღრმად, უფრო მწვავედ.

**ვ**ინაცად „ლიტერატურნაია გაზეტას“ რომ წაიკითხავთ, იმის კურსში იქნებით, რაც საბჭოთა ლიტერატურაში ხდება, შეგეძლებათ გაეცნოთ სხვადასხვა მსჯელობას მისი განვითარების საარსებო პრობლემებზე, შეიტყობთ პროზაიკოსების, პოეტების, დრამატურგებისა და კრიტიკოსების ახალი, ეს-ეს არის დაწერილი და თვით ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ნაწარმოებების შესახებ. ჩვენ დაგეხმარებით იმაში, რომ თვალყური ადევნოთ ახალ წიგნებსა და ნაწარმოებებს, რომლებიც ლიტერატურულ-მხატვრულ ყურნალებში ქვეყნდება, მათზე ჩვენი აზრის გამოთქმით. ჩვენ გამოვეხმაურებით ავრეთვე ყველაზე ღირსშესანიშნავ თეატრალურ პრემიერებს, ახალ ფილმებს, რომლებიც კინოეკრანებსა და ტელეეკრანებზე გამოვა.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ დანამდვილებით გაინტერესებთ მწერლების, მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების მიერ გამთქმული პუბლიცისტური აზრები ჩვენს ქვეყანაში ეკონომიური რეფორმის პრობლემებზე, სახალხო განათლების, ბუნების დაცვის, ეთიკის, სამართლის, ყოფა-ცხოვრების საკითხებზე, უახლეს მეცნიერულ აღმოჩენებზე, და თქვენი ამ ინტერესების შესაბამისად წარვმართავთ რედაქციის მუშაობას.

„ლიტერატურნაია გაზეტა“ ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა მდგომარეობას თანამედროვე სამყაროში, უახლეს პოლიტიკურ, სოციალიზიურ, ფილოსოფიურ თეორიებს, რომლებიც საზღვარგარეთ ჩნდება, ჩვენს იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეებთან პოლემიკას. ჩვენ ვაპირებთ ამ საკითხებს 1968 წელსაც დიდი ადგილი დავუთმოთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

ერთ-ერთი გვერდი, გაზეთის მეთექვსმეტედი ნაწილი, კვლავ დაეთმობა იუმორსა და სატირას; ფელეტონებს, ლიტერატურულ პაროდიებს, ეპიგრამებს, მეგობრულ შარჟებს, ერთი სიტყვით, იმას, რაც იწვევს ირონიას, ღიმილს, სიცილს.

მალე შეხვედრამდე, ძვირფასო მკითხველებო, ახალ, 1968 წელს!

# ჩვენ ამისამართი და ტელეფონები

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03. 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-78-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

## ტელევიზია

**18 ოქტომბერი**

11.00 — კინონაკვეები, 11.35 — კინოკომედია „კოროლინა ოდოკლი“ — იუგოსლავია-ინგლისის ერთობლივი ნაწარმოები (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა მიზანშეწონილი არ არის), 13.00 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1926 წელი (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.25 — გადაცემათა პროგრამა, 17.30 — ლექცია პოლიტეკონომიის შემსწავლელთათვის, 18.00 — მოსწავლეთათვის — „კომკავშირელი“ იქცევის ტრიბუნა“, 18.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ თბილისი — „კირატი“ ალმა-ატა, 20.15 — კონცერტი-სიმღერა „რევოლუციური სიმღერები“, 21.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „ცსკა“ „არარატი“ ერევანი — მეორე ტაიმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.45 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.00 — კინოკომედია „კოროლინა რიეკილი“ — იუგოსლავია-ინგლისის ერთობლივი ნაწარმოები (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა მიზანშეწონილი არ არის).

## ჩაკ ვიცოდეთ, ჩაკ ეოვილიერეთ

**19 ოქტომბერი**

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ოქტომბრელთა თვის „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 18.20 — მოსწავლეთათვის „პიონერიულ ვახტზე“, 18.35 — განცხადებები, 18.40 — კინონაკვეები, 18.50 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი (სტუდიაში საქართველოს სსრ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი), 19.20 — გადაცემა — „მეტალურგთა საერთაშორისო კონფერენციაზე“, 19.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 20.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ტორპედო“ მოსკოვი, „დინამო“ კიევი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.45 — მხატვრული ფილმი „ღამესთან მარტოდ“, 22.55 — გადაცემათა პროგრამა 20 ოქტომბრისათვის, 23.00 — კონკერსი — მეგობრობა „საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინომოყვარულთა საერთაშორისო კონკურსის დასკვნითი გადაცემა (გადმოცემა მოსკოვიდან).

**მე-2 არხით** — (ინსტრუქციური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 17 ს. 45 წ.

## თეატრები

**18 ოქტომბერი**

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ვისა ვისი?!, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — (მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის წარმოდგენა) — ფიფქია და შვიდი ჯუჯა (№ 25 აბონ. დღის 3 ს.).

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.